კონფლიქტის რეგიონების გაშუქება ქართულ ტელევიზიაში



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

კონფლიქტის რეგიონების გაშუქება ქართულ ტელემედიაში

თბილისი
2025

დოკუმენტი მომზადებულია პროექტის "COBERM-ის შემდგომი განვითარება: EU-UNDP ერთობლივი ინიციატივა მდგრადი და ინკლუზიური მშვიდობისთვის (FLIP)"-ის ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირისა (EU) და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივ ინიციატივას. დოკუმენტის შინაარსი წარმოადგენს სოციალური სამართლიანობის ცენტრის ერთპიროვნულ პასუხისმგებლობას და არცერთ შემთხვევაში უნდა იქნას აღქმული, როგორც EU-ის, ან UNDP-ის მოსაზრება.

პასუხისმგებელი პირი: თეონა ფირანიშვილი, თამთა მიქელაძე

ავტორი: ლაშა ქავთარაძე

ყდის დიზაინი: როლანდი რაიკი

რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი

თარგმანი ინგლისურ ენაზე: ნათია ნადირაძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ლაშა ქავთარაძე: „კონფლიქტის რეგიონების გაშუქება ქართულ ტელემედიაში", *2025*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge

info@socialjustice.org.ge

https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

შესავალი *4*

მედიის როლი და კონფლიქტის რეგიონების მგრძნობიარე გაშუქება *5*

მეთოდოლოგია *11*

შერჩევა 11

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი 12

კვლევის შეზღუდვები 13

კვლევის ზოგადი მიგნებები *14*

აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რეგიონთან დაკავშირებული თემების გაშუქების ტენდენციები *19*

1) აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონის გამოწვევები, როგორც არაპრიორიტეტული თემები 20

2) ნეგატიური კონტექსტის სიჭარბე ოკუპირებული რეგიონების გაშუქებისას 21

3) აფხაზებისა და ოსების ხილვადობისა და რესპონდენტთა მრავალფეროვნების პრობლემა 23

4) ზედაპირული და ფრაგმენტული გაშუქება 24

5) ტერმინოლოგია და ენასთან დაკავშირებული ტენდენციები 26

6) პოლიტიკური პოლარიზაციის გავლენა კონფლიქტის რეგიონების გაშუქებაზე 27

7) მშვიდობის პოლიტიკის უგულებელყოფა და მშვიდობის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზება 29

8) აფხაზეთის რომანტიზება 31

კონფლიქტთან დაკავშირებული მგრძნობიარე თარიღების გაშუქება ტელემედიაში *33*

ერთი ომის ორი თარიღი და აგვისტოს ომი როგორც მედია პოლარიზების ლაკმუსის ქაღალდი 33

7 აგვისტო 34

8 აგვისტო 37

აფხაზეთის ომი 32 წლის შემდეგ *40*

14 აგვისტო 41

27 სექტემბერი 42

დასკვნა და რეკომენდაციები *46*

გამოყენებული ლიტერატურა *50*

შესავალი

„აფხაზეთის ამბებს ძალიან დაშორებულები ვართ, ჩემი გადაცემა, მე თვითონაც, ძალიან იშვიათად ვაშუქებ იმას, რაც იქ ხდება, მაგრამ ეს ის შემთხვევაა... პრინციპში ყველაფერი გვეხება რა საკვირველია, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, რომელიც ძალიან გვეხება და ვხედავთ ჩვენ მომავალს...“- 2024 წლის 12 ნოემბერს, ტელეკომპანია მთავარის გადაცემა განსხვავებული აქცენტების წამყვანმა ეკა კვესიტაძემ, აფხაზეთში მიმდინარე საპროტესტო გამოსვლების შესახებ გადაცემა სწორედ ამ შესავლით წარადგინა.

ჟურნალისტის ეს სიტყვები კარგად ასახავს ქართულ მეინსტრიმულ მედიაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონთან დაკავშირებული თემების გაშუქების ზოგად ტენდენციას. წამყვანი ქართული ტელევიზიები სხვადასხვა მიზეზის გამო — მათ შორის, შეზღუდული ადამიანური და ფინანსური რესურსების, თუ პოლიტიკური და სარედაქციო კონიუნქტურისა და კონფლიქტების თემაზე დომინანტური პოლიტიკური წარმოდგენების გამო — შესამჩნევად მცირე დროსა და ენერგიას ხარჯავენ კონფლიქტის რეგიონებში მიმდინარე შიდა ამბების გაშუქებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივ დისკურსში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის რეგიონი საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად არის მონიშნული, ტელემედიების სარედაქციო პოლიტიკა და პრაქტიკა ამ ორ რეგიონთან დაკავშრებული ამბების გაშუქების კუთხით არსებით წინააღმდეგობაშია აღნიშნულ დისკურსთან. ეს შესაძლოა აიხსნას არაღიარების დომინანტური პერსპექტივით, რომელიც კონფლიქტებს, მათ ისტორიასა და სამშვიდობო პოლიტიკას, მეტწილად, გეოპოლიტიკური პერსპექტივიდან უყურებს. იგი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს კონფლიქტის ქართულ-აფხაზური/ქართულ-ოსურ განზომილებას და პრაქტიკულად ართმევს პოლიტიკურ აგენტობას ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტებსა და საზოგადოებებს.

შედეგად, ქართულ ტელეაუდიტორიას არ აქვს შესაძლებლობა, რომ სიღრმისეული წარმოდგენა შეიქმნას იმის შესახებ, თუ რა ხდება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში, რა მოვლენებია წამყვანი იქაურ პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ ცხოვრებაში და როგორია აღნიშულ რეგიონებში მცხოვრებთა ყოველდღიურობა, წუხილები, შიშები და ინტერესები.

ეს პრობლემური ტენდენცია მედიაში დასაქმებულებსაც აქვთ გააზრებული. როგორც ლაშა ზარგინავას (2022) ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, თავად მედიამუშაკების მხოლოდ და მხოლოდ 6%-მდე თვლის, რომ ქართული მედია სათანადოდ აშუქებს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ თემებს. დაახლოებით 60% კი მიიჩნევს, რომ ეს თემები მედიაში არასათანადოდაა გაშუქებული. მეტიც, რესპონდენტთა 30%-მდე “ვერ იხსენებს, როდის გაშუქდა მის მედიასაშუალებაში, ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული თემები” (ზარგინავა, 2022, გვ. 8).

ეს ტენდენცია ხელს უწყობს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიებზე მცხოვრებ ხალხსა და აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრებ ხალხს შორის არსებული გაუცხოებისა და მტრული დამოკიდებულების კიდევ უფრო გაღრმავებას. ამგვარი გაუცხოების დაძლევაში მედიის როლზე საუბარი კი, უპირველესყოვლისა, არსებული პრაქტიკისა და ტენდენციების ემპირიული აღწერით უნდა დაიწყოს. შესაბამისად, წინამდებარე კვლევის მიზანი იყო ქართულ ტელემედიაში აფახეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონთან დაკავშირებული ამბების გაშუქების თვისებრივი შესწავლა. აქედან გამომდინარე, მედია მონიტორინგი მიზნად ისახავდა ქართული ტელემედიების სარედაქციო პოლიტიკაში კონფლიქტის რეგიონებთან დაკავშირებული თემებისადმი ინტერესისა და გაშუქების ძირითადი ტენდენციების ანალიზს.

ანგარიშის მომდევნო თავში აღწერილია კვლევის თეორიული ჩარჩო, რომელიც ეფუძნება მშვიდობის ჟურნალისტიკის ცნებასა და კონფლიქტის მგრძნობიარე გაშუქების პრინციპებს. აღნიშნული თეორიული ჩარჩო, ამოსავალ წერტილად იღებს მედიის მნიშვნელოვან როლს განსაკუთრებით მგრძნობიარე საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებაში და წარმოდგენების ტრანსფორმაციაში. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებთან დაკავშირებული თემები კი ქართულ საზოგადოებაში სწორედ ასეთ თემებს წარმოადგენს. თეორიული ჩარჩოს მიმოხილვას მოსდევს კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა, რომელიც მოიცავს მედიასაშუალებების შერჩევის კრიტერიუმებს და მონიტორინგის დროს გამოყენებულ მიდგომას რელევანტური მედიამასალების იდენტიფიცირებისა და შინაარსობრივი ანალიზისთვის. აღნიშნული ქვეთავი ასევე მიმოიხილავს კვლევის შეზღუდვებს, რომელიც ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებებით იყო განპირობებული. მაგალითად, ამგვარ გარემოებად შეიძლება მივიჩნიოთ მკვლევრის იდენტობა, კვლევის ჩატარებისათვის შერჩეული პერიოდი, ჟურნალისტიკის როგორც პროფესიული პრაქტიკისა და სფეროს სპეციფიკა და ტექნიკური საკითხები, როგორიცაა სატელევიზიო ეთერების დაარქივების დროს არსებული არათანმიმდევრულობა. შემდგომი ორი თავი კვლევის მთავარ მიგნებებსა და მედიაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებთან დაკავშირებული თემების გაშუქების ტენდენციებს მიმოიხილავს და მათ საილუსტრაციო მაგალითებს უყრის თავს. კვლევის დასკვნით ნაწილში კიდევ ერთხელ არის შეჯამებული კვლევის მთავარი მიგნებები, რომელსაც შემდგომ მედიებისთვის შემუშავებული რეკომენდაციები ეფუძნება.

მედიის როლი და კონფლიქტის რეგიონების მგრძნობიარე გაშუქება

ქართულ წყაროებში კონფლიქტის რეგიონების მგრძნობიარე გაშუქების საუკეთესო პრაქტიკის თუ რეკომენდაციების შესახებ შედარებით მწირი ლიტერატურა არსებობს. ბოლო წლებში გამოქვეყნებული კვლევებიდან ნაწილი ან უკვე

მოძველებულია (ხუციძე, 2012), შეეხება მედიის მხოლოდ ცალკეულ ნაწილს (რეგიონული აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი პლატფორმები) (გოგოლაძე, 2022), მხოლოდ მედიაში დასაქმებულთა მიწოდებულ რაოდენობრივ ინფორმაციას ეყრდნობა (ზარგინავა, 2022), ან კონფლიქტის კონკრეტული ტიპზე, კერძოდ, გაჭიანურებულ კონფლიქტებზეა ფოკუსირებული (მურუსიძე, 2018). ეს კი არ იძლევა შესაძლებლობას, რომ ქართულ მეინსტრიმულ მედიაში არსებულ ტენდენციებზე თვისობრივად ნაკვლევი, ემპირიულად გამყარებული დასკვნები გავაკეთოთ.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია განსაზღვრავს ჟურნალისტური საქმიანობის მაღალი პროფესიული სტანდარტით მუშაობის ზოგად პრინციპებს, თუმცა კონფლიქტებთან კავშირში ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოებს შორის ხელმისაწვდომია მხოლოდ და მხოლოდ კონფლიქტებისა და ომის გენდერულად მგრძნობიარე გაშუქების სახელმძღვანელო (საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2023). გენდერული საკითხები, კერძოდ, ომის თუ სხვა ტიპის კონფლიქტების არათანაბარი გავლენა ქალებსა და გენდერულად არაკონფორმულ ჯგუფებზე უმნიშვნელოვანესი საკითხია. თუმცა, ეს თემა წინამდებარე მედიამონიტორინგის მიზნებს სცდება. მიუხედავად ამისა, ქარტიის სახელმძღვანელო მნიშვნელოვან მითითებებს აკეთებს კონფლიქტებთან დაკავშირებული საკითხების ეთიკურად გაშუქებასთან დაკავშირებით—კერძოდ, ჟურნალისტური მასალებზე მუშაობის პროცესში რეპორტიორების მომზადების, რესპონდენტთა მოძიების, კითხვების დასმის და შეგროვებული მასალების დამუშავების კუთხით (საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2023).

ქართულ ენაზე ასევე ხელმისაწვდომია ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის (IWPR) მიერ გმოქვეყნებული მშვიდობის გაშუქების ექვსი სავალდებულო წესი ჟურნალისტებისთვის. იგი ხაზს უსვამს მედიაში მომუშავეთა გასაშუქებელ კონფლიქტში გათვითცნობიერების აუცილებლობას, კონფლიქტის სამართლიანად გაშუქების პრინციპის დაცვას, კონფლიქტის წინაპირობებისა და მიზეზის გაშუქებას, ადამიანური ფაქტორებისა და სამშვიდობო ინიციატივების გაშუქების საჭიროებასა და კონფლიქტზე ჟურნალისტური საქმიანობის გავლენის აღიარებას (IWPR, 2004).

გარდა ამისა, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის მიერ ითარგმნა სახელმძღვანელო კონფლიქტური სიტუაციების გაშუქების საფუძვლები (პანი, 2017), რომელიც დეტალურად მიმოიხილავს, თუ რა როლი შეიძლება ითამაშოს მედიამ კონფლიქტურ სიტუაციებში გაშუქების სხვადასხვა პრაქტიკის გათვალისწინებით. დემოკრატიულ საზოგადოებაში მასმედიის როლზე საუბრისას, როგორ წესი, სამ მთავარ ასპექტს გამოჰყოფენ ხოლმე: მედიამ უნდა შეასრულოს ახალი ამბების წყაროს, თავისუფალი ფორუმისა და ე.წ. მოდარაჯე ძაღლის ფუნქცია (Howard, 2009). შესაბამისად, მედია უნდა იყოს სანდო ინფორმაციის მიღების საშუალება მოქალაქეებისათვის, მან უნდა შექმნას თავისუფალი გამოხატვისათვის საჭირო საჯარო სივრცე და გაუწიოს კონტროლი ძალაუფლების მქონე პირებსა თუ ინსტიტუციებს, რომ ბოროტად არ გამოიყენონ მათ ხელთარსებული რესურსები და

მინიჭებული ძალაუფება. სწორედ ეს პრინციპები უნდა იყოს ამოსავალი წერტილი მედიისა და მედიაში დასაქმებული პროფესიონალებისათვის ნებისმიერი თემის, მათ შორის კონფლიქტის რეგიონებში არსებული სიტუაციების გაშუქებისას.

როგორც პანდელი პანი (2017) აღნიშნავს, "ჟურნალისტს კარგად უნდა ესმოდეს კონფლიქტების დროს მედიის როლი და პასუხისმგებლობა, პროფესიულად, პროვოკაციის გარეშე მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია და დაპირისპირებულ მხარეებს კონფლიქტის მოგვარების გზების ძიებაში დაეხმაროს" (გვ. 12). მიუხედავად იმისა, რომ პანის ეს ციტატა ერთგვარად იდეალიზებულ წარმოდგენას ქმნის ჟურნალისტის პროფესიის კონფლიქტების ჭრილში გაგებისთვის, მისი მიდგომა ერთგვარად რიტორიკულ ორიენტირად შეიძლება ავიღოთ მედიაში საუკეთესო პრაქტიკის დანერგვისათვის.

ჟურნალისტის როლის პანისეული გაგების უმთავრესი ასპექტი მედია პროფესიონალების კონფლიქტის მოგვარებაში აქტიური მონაწილეებად გაგება წარმოადგენს. თუმცა, აღნიშნულ კონცეპტუალიზაციას სპეციფიკური პრეისტორია აქვს. როგორც UNESCO-ს მიერ გამოცემული სახელმძღვანელოს ავტორი როს ჰოვარდი (2009) აღნიშნავს, გლობალურ დასავლეთში, ცივი ომის შემდგომი პერიოდის მედიაგანვითარების ინიციატივები განსაკუთრებულ ყურადღებას არ ამახვილებდნენ ჟურნალისტიკის როლზე მშვიდობის მშენებლობასა და კონფლიქტების გადაჭრაში. ნაცვილად ამისა, ისინი ფოკუსირებულნი იყვნენ ეფექტიანი მმართველობის, დაჩქარებული დემოკრატიზაციისა და ე.წ. განვითარების პროექტებში მედიის ჩართულობაზე. თუმცა ეს მიდგომა ნელ-ნელა იცვლება 1990-იან წლებში, მას შემდეგ რაც ცალსახად გამოჩნდა საფრთხეები, რომელიც შესაძლოა მედიის არაკეთილსინდისიერმა და ხშირად გამიზნულად ცუდმა მუშაობამ შექმნას ქვეყნებსა თუ ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტების წარმოშობასა და წარმართვაში.

ამის მაგალითი იყო მედიის ნეგატიური როლი 1990-იან წლებში რუანდის გენოციდსა და ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიებზე მომხდარ კონფლიქტებში, რომლებიც წინ უძღვოდა ეთნიკურ წმენდას. რუანდის გენოციდში მედიის განსაკუთრებულად ნეგატიური როლი კარგად არის შესწავლილი. როგორც ალან ტომპსონი (2007) წერს, მედიის ნეგატიური როლი ერთი მხრივ გამოიხატებოდა ადგილობრივი მედიის მიერ მკვლელობათა ხელშეწყობაში და მეორე მხრივ, საერთაშორისო მედიის მიერ რუანდაში ჩადენილი მკვლელობების ბუნების სრულ გაუაზრებლობასა და მათი გენოციდის ნაცვლად, ადგილობრივ ტომებს შორის დაპირისპირებად წარმოჩენაში. გარდა ამისა, 1990-იანი წლების დასაწყისში, დასავლეთ ბალკანეთი იყო ცხადი მაგალითი იმისა, თუ როგორ ასახავდა მედია ეთნიკურ კონფლიქტებს სარკისებურად და შედეგად, ასრულებდა არა საზოგადოების გამაერთიანებლის, არამედ არსებული ეთნიკური განსხვავებების ხელშემწყობის როლს, რითაც კიდევ უფრო ამწვავებდა საზოგადოების დეზინტეგრაციას (Andresen et al., 2017).

შესაბამისად, მე-20 საუკუნის მიწურულს, პროფესიულ წრეებში აქტიურად დაიწყეს საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ უბრალოდ ფაქტების მოყოლის გარდა, მედიას შეეძლო აქტიური როლი შეესრულებინა კონფლიქტების მოგვარებაში. შესაბამისად გაჩნდა ისეთი ცნებები, როგორიცაა 'Journalism of Attachment' (რომელიც ქართულად შეიძლება ითარგმნოს როგორც "ემოციურად ჩართული ჟურნალისტიკა"), მშვიდობის ჟურნალისტიკა და კონფლიქტ-მგრძნობიარე (conflict-sensitive) გაშუქება.

ემოციურად ჩართული ჟურნალისტიკის ცნების უკან დგას მოსაზრება, რომ ჟურნალისტები ვერ იქნებიან ემოციურად ნეიტრალურები, როდესაც კონფლიქტების გაშუქებას ეხება საქმე. ამაზე ხმამაღლა საუბარი თავდაპირველად BBC-ის რეპორტიორმა მარტინ ბელიმ დაიწყო, რომელიც ამტკიცებდა, რომ ჟურნალისტები რობოტებივით ვერ მიუდგებიან ადამიანთა ტანჯვისა და წამების ფაქტების გაშუქებას. პირიქით, ბელის თანახმად, ჟურნალისტები წახალისწებულნიც კი უნდა იყვნენ ემოციური ჩართულობა გამოავლინონ, თუმცა, ამავდროულად, უნდა შეეცადონ ისწრაფვოდნენ ფაქტების გულწრფელი, ზუსტი და სამართლიანი გაშუქებისაკენ (Bell, 1998).

მშვიდობის ჟურნალისტიკის კონცეპტი კი, რომელიც ტრადიციული ომის რეპორტინგის საპირწონედ აღმოცენდა, ამოსავალ ღირებულებად იღებს მშვიდობის მშენებლობას და ამ პროცესში მედიის აქტიურ როლს. მშვიდობის ჟურნალისტიკა, რომლის თეორიულ განვითარებაშიც განსაკუთრებული წვლილი მშვიდობის კვლევების დამფუძნებელ ნორვეგიელ მეცნიერს იოჰან გალტუნგს მიუძღვის, მნიშვნელოვან პროფესიულ მოძრაობად ჩამოყალიბდა ადრეულ 2000-იან წლებში.

გალტუნგის (2002) თანახმად, ტრადიციული გაგებით, ომის ჟურნალისტიკის ყურადღების ცენტრში არის კონფლიქტი, მასში ჩართული ორი დაპირისპირებული მხარით, რომლის საბოლოო მიზანიც არის ერთი მხარის გამარჯვება (ე.წ. zero-sum ლოგიკა). მშვიდობის ჟურნალისტიკა კი ფოკუსირდება კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე ('win-win' ლოგიკა), იკვლევს კონფლიქტის ჩამოყალიბებას და აღიარებს მასში ჩართული არაერთი მხარის არსებობას, რომელთაგან ყველას საკუთარი მიზნები და ინტერესები გააჩნია. შესაბამისად, გალტუნგის (2002) თანახმად, მშვიდობის ჟურნალისტიკის მახასიათებელია:

- ფოკუსი კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე, ნაცვლად კონფლიქტის როგორც ბრძოლის გაგებაზე, რომელიც რომელიღაც მხარემ უნდა მოიგოს;
- ორიენტირება უნივერსალური სიმართლის დადგენაზე, კონფლიქტში ჩაბმული მხარეებისათვის ხელსაყრელი პროპაგანდისა და ტყუილების გავრცელების ნაცვლად;
- ადამიანებზე ორიენტირება (როგორც კონფლიქტის მსხვერპლებზე, ისე მაგალითად მშვიდობისმყოფელებზე), აკეთებს რა აქცენტს ძალადობის სავარაუდო მსხვერპლებზე, ნაცვლად "ჩვენ" vs "ისინი" დაპირისპირების გაღვივებისა, რაც ომის ჟურნალისტიკის მახასიათებელია.

- გამოსავალზე ორიენტირება და შესაბამისად, ფოკუსირება ძალადობის პრევენციასა და სამშვიდობო ინიციატივებზე, რომელთაც შეუძლიათ ომისა თუ კონფლიქტის სიტუაციების ესკალაციის თავიდან არიდება.
- აქცენტი გამჭვირვალობასა და ურთიერთგაგებაზე, რაც განპირობებულია კონფლიქტის ფორმირებისა და ჩართული მხარეების, მათი მიზნებისა და კონფლიქტის სიღრმისეული საფუძვლების იდენტიფიცირების პრიორიტეტულობით.
- აქცენტი კონფლიქტის უხილავ შედეგებზე, სცდება რა მხოლოდ კონფლიქტის ისეთ ხილულ შედეგებზე საუბარს როგორიცაა კონფლიქტიკის დროს დახოცილი, დაშავებული ადამიანები და მატერიალური ზარალი. მშვიდობის ჟურნალისტიკა ასევე ამახვილებს ყურადღებას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ტრავმა, ზიზღი, რევანშის რისკები, ანდა კონფლიქტის სტრუქტურული თუ კულტურული შედეგები.
- ძალადობის ალტერნატივების ხაზგასმა, კერძოდ კი, პრობლემების არაძალადობრივი გადაჭრის მეთოდებსა და დიალოგის ხელშეწყობის შესაძლებლობებზე.

თუმცა, მშვიდობის ჟურნალისტიკას, როგორც პროფესიულ პრაქტიკას მალევე გამოუჩნდნენ კრიტიკოსები, როგორც პროფესიულ, ისე აკადემიურ წრეებში (ჰოვარდი, 2009). კრიტიკოსები ძირითადად ხაზს უსვამდნენ კონფლიქტის სიტუაციებში მედიის აქტიური პოზიციონირების გამო შექმნილ საფრთხეს, ჟურნალისტური ობიექტურობისა და სანდოობის თვალსაზრისით. გარდა ამისა, მშვიდობის ჟურნალისტიკის გალტუნგისეული გაგება, გარკვეულწილად, იდეალისტურ მიდგომას ემყარებოდა. პრაქტიკაში კი აღნიშნული პრინციპების გატარება ადამიანური ფაქტორების თუ ფინანსური და სხვა ტიპის რესურსების ნაკლებობის გამო, ხშირად შესაძლოა არარეალისტური იყოს.

2000-იან წლებში, კონფლიქტების გადაჭრაში ჟურნალისტების როლთან დაკავშირებით დებატები გაგრძელდა. წამყვანი საკითხი ამ დებატში იყო საუკეთესო პრაქტიკის განსაზღვრა, რათა მედიას საზოგადოებებში არსებული კონფლიქტების გადაჭრაში წვლილი ისე შეეტანა, რომ ფუნდამენტური ჟურნალისტური ღირებულებების ერთგულიც დარჩენილიყო (ჰოვარდი, 2009).

აღნიშნული კრიტიკის საპასუხოდ, როგორც პრაქტიკოსი ჟურნალისტების ისე მედიის მკვლევრების ნაწილმა დაიწყო კონფლიქტების მგრძნობიარე გაშუქების მიდგომის ადვოკატირება. პანდელი პანის (2017) განმარტებით, კონფლიქტის მგრძნობიარე გაშუქება სამ ძირითად ასპექტს შეიძლება დაეფუძნოს:

- კონტექსტის გაგებას, ანუ რელევანტური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დაძაბულობის მიზეზების, კულტურულ-ისტორიული და სტრუქტურული ფაქტორების გააზრებას, მათი ძალადობრივი პოტენციალის გათვალისწინებით;
- ჟურნალისტის ჩართულობისა და კონტექსტის ურთიერთმიმართებას;

- და აღნიშნული ურთიერთმიმართების შესაბამისად მოქმედებას, რათა ჟურნალისტმა ხელი არ შეუწყოს ნეგატიურ პროცესებს და პირიქით, ესწრაფვოდეს მაქსიმალურად დადებითი შედეგების მიღწევას.

ამის გათვალისწინებით, პანი (2017) გამოყოფს კონკრეტულ ელემენტებს, რაც კონფლიქტის სიტუაციებში მედიის დადებითი გავლენის მოხდენაში ეხმარება: საკომუნიკაციო სივრცის შევსება, ცოდნის შევსება, ნდობის გამყარება, მცდარი წარმოდგენების შესწორება, ჰუმანურობისაკენ მოწოდება, ძირითადი ინტერესების იდენტიფიცირება, ემოციების გამოხატვის საშუალება, კონფლიქტის ახლიდან გააზრება, რეპუტაციის შენარჩუნება/კონსენსუსის მიღწევა, გადაწყვეტილების მიღება და ძალაუფლების ბალანსის წახალისება.

გარდა როლისა, რომელიც შესაძლოა მედიამ შეითავსოს, კონფლიქტების გაშუქებისას ყურადღება უნდა მიექცეს ასევე თავად კონფლიქტის ტიპსაც, რამაც შესაძლოა თავის მხრივ გაშუქების სპეციფიკაზე მოახდინოს გავლენა. როგორც ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის გამოცემულ პუბლიკაციაშია აღნიშნული, უშუალოდ კონფლიქტების გაშუქების თვალსაზრისით, ჟურნალისტებისათვის არაერთი სახელმძღვანელო არსებობს (რომელთა ნაწილის ხილვაც წინამდებარე კვლევის გამოყენებული ლიტერატურის სიაში შეგიძლიათ). თუმცა, როგორც წესი, შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა ხოლმე პროფესიულ ლიტერატურაში ე.წ. გაჭიანურებულ კონფლიქტებს (Protracted Conflict) და მათი მგრძნობიარე გაშუქების სპეციფიკას (მურუსიძე, 2018). სწორედ ასეთ კონფლიქტთან გვაქვს საქმე როდესაც საუბარია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის რეგიონზე.

გაჭიანურებული კონფლიქტები, როგორც მურუსიძე (2018) აღნიშნავს, "საზოგადოების ხანგრძლივი პერიოდით გაყოფასა და, ზოგჯერ, ერთმანეთისგან იზოლირებას იწვევს" (გვ.7). დაპირისპირებული მხარეების გაყოფა და იზოლირება კი ჟურნალისტებისთვის დამატებით სირთულეებს ქმნის როგორც მოვლენებზე, ინფორმაციასა და წყაროებზე ფიზიკურად ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ისე სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა, ჟურნალისტის ეთნიკური კუთვნილება. იმავე კვლევაში, მურუსიძე (2018) განიხილავს ორ საკითხს ე.წ. ბორდერიზაციის თუ "მცოცავი ოკუპაციისა" და გამყოფი ხაზის მიმდებარედ ადამიანების დაპატიმრებების თემებს. როგორც წესი, ქართულ მედიაში აღნიშნული თემები ხშირად სპორადულად და სენსაციონალისტურად შუქდება, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს კონფლიქტის საპირისპირო მხარის „საინფორმაციო ომის" მიზნებს და საზოგადოებაში დაუცველობისა და უმედობის განცდას. აღნიშნული პრაქტიკის საპირისპიროდ კი, როგორც მურუსიძე (2018) აღნიშნავს "ჟურნალისტს, მოვლენებზე სანდო ინფორმაციის მოძიების გარდა, ფაქტების მიღმა ხედვა და ტენდენციების შემჩნევა უნდა შეეძლოს" (გვ.11).

წინამდებარე კვლევა ქართული მეინსტრიმული ტელემედიის მუშაობას სწორედ ზემოდ აღწერილი პრინციპების გათვალისწინებით აკვირდებოდა. ამ დაკვირვების შედეგები კი წარმოდგენილი იქნება კვლევის მეთოდოლოგიის უფრო დეტალური მიმოხილვის შემდეგ.

მეთოდოლოგია

როგორც შესავალში აღინიშნა, წინამდებარე კვლევის მთავარი მიზანი იყო წამყვან ქართულ ტელეარხზებზე არსებული ტენდენციების შესწავლა საქართველოს ორ ოკუპირებულ რეგიონთან—აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან—დაკავშირებული ამბების გაშუქებისას. აღნიშნული ტენდენციებისა და კონფლიქტის რეგიონებთან დაკავშირებით მედიის მიერ შექმნილი კონტექსტის მოსახელთებლად, კვლევისას გამოყენებული იქნა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემები. ხოლო მონაცემთა ანალიზი უმეტესწილად თვისობრივად, კერძოდ კი, ტექსტური ანალიზის მეთოდით მოხდა. მომდევნო ქვეთავში ახსნილია მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მეთოდი.

შერჩევა

მონიტორინგის სუბიექტებს წარმოადგენდა 7 ტელევიზია. მედიასაშუალებების შერჩევისას გამოყენებული იყო სამი კრიტერიუმი: ტელევიზიების ყურებადობა, მაყურებლის ნდობა და ტელევიზიის პროფილი. მედიასაშუალებების შერჩევაში მოხვდა 10 ყველაზე რეიტინგული ტელეკომპანია, რომელსაც აუდიტორიის ნდობა 1% მაინც ჰქონდა, რომელის პროფილიც გამოკვეთილად საინფორმაციო-ანალიტიკურია და მონიტორინგის პერიოდში ჰქონდა შიდაწარმოების საინფორმაციო გამოშვებები.

ტელევიზიის ყურებადობის თვალსაზრისით, კომპანია „თი-ვი ემ-არ საქართველოს“ მონაცემებით, რომელიც ნილსენის სატელევიზიო აუდიტორიის გაზომვების ოფიციალური ლიცენზირებული პარტნიორია საქართველოში, 2023 წლის მონაცემებით, სამიზნე აუდიტორიაში აუდიტორიის წილით ათი ყველაზე რეიტინგული არხი იყო იმედი, მთავარი არხი, რუსთავი 2, ტვ პირველი, GDS, 1 არხი, ფორმულა, პოსტივი, მაესტრო და კომედი არხი. ხოლო IRI-ის ამავე პერიოდის მონაცემებით, გამოკითხულთა ნდობის 1%-ზე მაღალი მაჩვენებელი პირველი მოხსენიებით ჰქონდა შემდეგ ტელევიზიებს: იმედი, მთავარი არხი, ტვ პირველი, რუსთავი 2, ფორმულა და საზოგადოებრივი მაუწყებელი. შესაბამისად, თავდაპირველი შერჩევიდან გამოირიცხა ჯი-დი-ესი, მაესტრო და კომედი არხი. ხოლო მაუწყებლობის პროფილიდან და რეგიონული მნიშვნელობიდან გამომდინარე, საბოლოოდ მიღებულ შერჩევას ასევე დაემატა აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელმაც დამოუკიდებელი მაუწყებლის სტატუსი 2013 წელს მიიღო.

მედიასაშუალებების საბოლოო შერჩევა ასე გამოიყურებოდა:

ტელევიზია	რეიტინგი 2023 (TV MR)	ნდობა 2023 (IRI)

იმედი	22%	28%
მთავარი არხი	11%	14%
რუსთავი 2	9%	9%
ტვ პირველი	8%	11%
ფორმულა	4%	3%
1-ლი არხი	5%	3%
აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი	1%	< 1%

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

შერჩეული ტელევიზიებიდან ანალიზისათვის შეგროვდა სიუჟეტები და კადრ-სინქრონები მთავარი საინფორმაციო გამოშვებებიდან, რომლებიც ტელევიზიებში ე.წ. პრაიმ ტაიმის (19:00-22:00) პერიოდში გადიოდა. პრაიმ ტაიმში გასული საინფორმაციო გამოშვებები, როგორც წესი, ყველაზე ყურებადი და მნიშვნელოვანი გამოშვებებია. შესაბამისად, აღნიშნულ საინფორმაციო გამოშვებებში მოხვედრილი თემები მეტნაკლებად ასახავს ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკას შერჩეული თემების პრიორიტეტიზაციის კუთხით.

საერთო ჯამში, დამონიტორინგდა 576 საინფორმაციო გამოშვება 2024 წლის მაისი-ივლისის პერიოდში. საინფორმაციო გამოშვებების ხანგრძლივობა მერყეობდა დაახლოებით 15-30-წუთიდან 2,5 საათამდე. დამონიტორინგებული გადაცემების ხანგრძლივობა დამოკიდებული იყო როგორც ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე (მაგალითად, განსაკუთრებულად ხანგრძლივი გამოშვებები საპროტესტო აქციების მიმდინარეობის დღეებში), ისე სარედაქციო გადაწყვეტილებებით არასრულად მომხდარიყო პირდაპირ ეთერში გასული საინფორმაციო გადაცემების ვებგვერდზე განთავსება.

მონიტორინგის პროცესი გულისხმობდა მთლიანი საინფორმაციო გადაცემის ყურებას თითოეული სიუჟეტის თუ კადრ-სინქრონის მთავარი თემატიკის განსაზღვრამდე, ხოლო რელევანტური სიუჟეტებისა და კადრ-სინქრონების შემთხვევაში მთლიანი სიუჟეტის ნახვას და მის გაანალიზებას მეთოდოლოგიაში აღწერილი ფორმის მიხედვით. რელევანტურობის განსაზღვრა ხდებოდა სიუჟეტის შინაარსზე დაკვირვებით. თუკი სიუჟეტი ან კადრ-სინქრონი არსებითად შეეხებოდა კონფლიქტის რეგიონებს, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, აღნიშნულ რეგიონებში სხვადასხვა დროს მომხდარ სამხედრო ქმედებას ან ამ რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებული პირებს, მაშინ მასლა მიჩნეული იყო რელევანტურად.

მონიტორინგის პროცესში სპეციალურად შემუშავებული ფორმის გამოყენებით შეგროვდა შემდეგი სახის ინფორმაცია: მასალის თემა და ხანგრძლივობა, მასალის მოკლე შინაარსი ან ტრანსკრიპტი, რესპონდენტთა ვინაობა, სიუჟეტის თემატური კონტექსტი (დადებითი, ნეიტრალური, უარყოფითი), დისკრიმინაციული, ან ნეგატიური გამონათქვამები აფხაზებისა და ოსების მისამართით და მასალის

აქცენტი მშვიდობაზე (ასეთი აქცენტის არსებობის შემთხვევაში). მონიტორინგის ფარგლებში ასევე მოხვდა სიუჟეტები და კადრ-სინქრონები, რომლებიც შეეხებოდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონიდან დევნილ მოსახელობას. აღნიშნული სიუჟეტების ფარგლებში ყურადღება ექცეოდა ე.წ. ევროპეიზაციის კონტექსტსა და საქართველო რუსეთის ურთიერთობებს, ვინაიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონთან ურთიერთობა ხშირად არის დანახული რუსულ-ქართული ურთიერთობების თუ საქართველოს ევროპაში ინტეგრაციის პრიზმაში.

გარდა ყოველდღიური მონიტორინგისა, კვლევის თვისებრივი კომპონენტის ხარისხობრვად გაუმჯობესებისათვის დამატებით მოხდა ისეთ სიუჟეტებზე დაკვირვება, რომლებიც აღნიშნული ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვებებში მოხვდა სპეციფიკურ თარიღებში, რომელიც ქართულ-რუსული, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების ჭრილში განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია. მაგალითად, ასეთი თარიღებია:

7/8 აგვისტო - 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების თარიღი;
14 აგვისტო - აფხაზეთში ომის დაწყების თარიღი;
27 სექტემბერი - აფხაზეთის ომის დასრულების თარიღი, რომელსაც ქართულ მედიაში ხშირად სოხუმის დაცემის თარიღს უწოდებენ.

მონიტორინგის პერიოდში 7 ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გასული სიუჟეტებისა და კადრ სინქრონების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია შეჯამებულია ანგარიშის მომდევნო თავში.

კვლევის შეზღუდვები

ჟურნალისტიკა, როგორც პროფესიული სფერო, რომელიც საჯარო ფორუმის ფუნქციასაც ატარებს, საზოგადოებრივ პროცესებზეა მიბმული და შესაბამისად, ერთგვარად რეაქტიული ბუნებისაა. აქედან გამომდინარე, ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროცესებში, მათ შორის პოლიტიკაში, ეკონომიკასა და კულტურაში მიმდინარე მოვლენები დიდ გავლენას ახდენს თუ რომელი თემები მოექცევა მედიაორგანიზაციების დღის წერიგში. აღნიშნული სპეციფიკიდან გამომდინარე, შეგროვებულ მონაცემებსა და კვლევის შედეგებზე შესაძლოა გავლენა ჰქონდეს დაკვირვების შერჩეულ პერიოდს და აღნიშნულ პერიოდში საჯარო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს. ამის ცხადი ილუსტრაცია იყო 2024 წლის ივნისის თვეში საქართველოში ე.წ. რუსულ კანონთან დაკავშირებული საპროტესტო აქციების დროს ტელევიზიების მთავარი საინფორმაციო გამოშვებებში ყველა დანარჩენი თემისათვის, მათ შორის კონფლიქტის რეგიონებისთვის, მწირი დათმობილი დრო. ასევე საქართველოს საფეხბურთო ნაკრების 2024 წლის ევროპის ჩემპიონატზე თამაშის დროს საინფორმაციო გამოშვებები თითქმის მთლიანად სპორტულ თემატიკას ჰქონდა დათმობილი. შესაბამისად, აღნიშნულ პერიოდებში საინფორმაციო გამოშვებებში მათ შორის აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებული თემების მოხვედრის ნაკლები შანსი იყო.

იმისთვის რომ, არ მომხდარიყო რომელიმე დომინანტური თემის გამო დაკვირვებისათვის რელევანტური საკითხების უგულებელყოფის გამო ტელემედიის კრიტიკა, მონიტორინგის შერჩევის პერიოდად საგანგებოდ იყო შერჩეული 3 თვე. დაკვირვების ხანგრძლივმა პერიოდმა უზრუნველყო, რომ თუკი რომელიმე თვეში ცალკეული თემა გადაფარავდა ყველა სხვა თემას, შესაძლებელი იქნებოდა შედარებით ნეიტრალურ პერიოდში ტელემედიაზე დაკვირვებაც.

მეორე მთავარი შეზღუდვა კვლევისათვის იყო ტელეკომპანიების ონლაინ არხებზე დამოკიდებულება მასალების შეგროვებისას. როგორც კვლევის მეთოდოლოგიაში იყო ახსნილი, მონიტორინგისათვის გამოყენებული იყო შერჩეული 7 ტელევიზიის ვებგვერდი ან სოციალური მედიის ანგარიშები (Facebook გვერდები და YouTube არხები) საინფორმაციო გამოშვებების არქივის სანახავად. შესაბამისად, მონიტორინგის შედეგების განვრცობა ვერ მოხდება ავტომატურად ტელეკომპანიების პირდაპირ ეთერში გადაცემულ სატელევიზიო არქივზე. მონიტორინგის პერიოდში, საერთო ჯამში, შვიდივე ტელევიზიის ონლაინ არხებზე 70-მდე საინფორმაციო გამოშვების არქივი არ მოიძებნებოდა. ცალკეულ შემთხვევებში კი ცხადი იყო, რომ საინფორმაციო გამოშვებები სრული სახით არ იყო დადებული ონლაინ არხებზე. არასრულად დადებული საინფორმაციო გამოშვებების საბოლოო შერჩევაში მოხვედრის მინიმუმადე დასაყვანად ხდებოდა ვებ-გვერდებისა და სოციალური მედიის ანგარიშების ერთმანეთთან შედარება და პრიორიტეტი ენიჭებოდა საინფორმაციო გამოშვების იმ ვერსიას, რომელიც ქრონომეტრაჟით უფრო ხანგრძლივი იყო. შესაბამისად, ზოგიერთი ტელევიზიის შემთხვევაში, ონლაინ არქივი შესაძლოა სრულად არ ასახავდეს პირდაპირ ეთერში გასული საინფორმაციო გამოშვებას. ტელევიზიები ზოგჯერ ონლაინ არხებზე ტვირთავენ საინფორმაციო გამოშვების დამონტაჟებულ ანდა არასრულ ვერსიას.
კვლევის ზოგადი მიგნებები

კვლევის ზოგადი მიგნებები

2024 წლის მაისი-ივლისის პერიოდში 7 ქართულ ტელევიზიაში გასული სიუჟეტებისა და კადრ-სინქრონებიდან მონიტორინგისათვის რელევანტურად ჩაითვალა სულ 87 მასალა. მასალები ტელევიზიების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

იმედი	18 მასალა
აჭარა TV	16 მასალა
ტვ 1	14 მასალა
ფორმულა	13 მასალა
პირველი არხი	11 მასალა
მთავარი არხი	11 მასალა
რუსთავი 2	4 მასალა

დამონიტორინგებული 91 დღის განმავლობაში, მხოლოდ 41 დღე იყო ისეთი, როდესაც შვიდი ტელევიზიიდან ერთმა მაინც გააშუქა აღნიშნულ ორ რეგიონთან დაკავშირებული თუნდაც ერთი თემა. ხოლო, დამონიტორინგებული დღეებიდან ნახევარზე მეტ შემთხვევაში (50 დღე) არც აფხაზეთის და არც სამხრეთ ოსეთის რეგიონთან დაკავშირებული თემატიკა არ მოხვედრილა არც ერთ ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში.



რელევანტურად მიჩნეული 87 მასალიდან 35 საინფორმაციო გამოშვების პირველ ნახევარში გავიდა, ხოლო 52 მასალა - საინფორმაციო გამოშვების მეორე ნახევარში ან საინფორმაციო გამოშვების მიწურულს. შესაბამისად, კონფლიქტის რეგიონებთან

დაკავშირებული მასალები მხოლოდ და მხოლოდ გაშუქების დაახლოებით 1/3 შემთხვევაში იყო ტელევიზიების მიერ პრიორიტეტულად მიჩნეული საიმისოდ, რომ გადაცემის საუკეთესო დროს გასულიყო.

დამონიტორინგებული მასალების უმეტესობა შეეხებოდა ორივე რეგიონს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, ან არ ახდენდა რეგიონის დაკონკრეტებას (36 მასალა). ხოლო ცალკეული რეგიონის შესახებ მომზადებული მასალების შემთხვევაში, აღნიშნული ორი რეგიონიდან ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით მეტი მასალა (32 მასალა) მოხვდა ტელევიზიების მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში, აფხაზეთთან (19 მასლა) შედარებით. თუმცა, სამხრეთ ოსეთის რეგიონთან დაკავშირებული მასალების სიჭარბე განპირობებული არ ყოფილა უშუალოდ ცხინვალის რეგიონში მიმდინარე ამბების გაშუქების სიჭარბით. აღნიშნულ რეგიონთან დაკავშირებული მასალების უმეტესობა შეეხებოდა ე.წ. საზღვრისპირა რაიონებში ადამიანებისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის და გათავისუფლების ფაქტებს, მოსაზღვრე სოფლებში მცხოვრები ადამიანებისა და დევნილების ყოფას და აგვისტოს ომთან დაკავშირებულ სხვადასხვა ფაქტს, მათ შორის "ქართული ოცნების" მიერ 2008 წლის ომთან დაკავშრებული მოვლენების გამოძიებასა და მიცვალებულთა მოხსენიების დღეს ომში დაღუპული ჯარისკაცების საფლავებზე ოჯახის წევრებისა და მთავრობის წარმომადგენლების გასვლის შესახებ.



რაც შეეხება მასალების თემატურ გადანაწილებას, მონიტორინგი გულისხმობდა სიუჟეტისა თუ კადრ-სინქრონის შინაარსიდან გამომდინარე მასალის კლასიფიცირებას მთავარი თემის მიხედვით. აღნიშნული თემები შესაძლოა

ურთიერთგადამფარავი იყოს და შესაძლებელია, რომ ერთ სიუჟეტში რამდენიმე თემის შესახებ ყოფილიყო საუბარი. მიუხედავად ამისა, შესაძლებლობის ფარგლებში, მასალათა ინტერპრეტირება მოხდა მთავარი თემის ნიშნით. მასალის შინაარსიდან გამომდინარე, ყველაზე ხშირად კონფლიქტის რეგიონები ტელევიზიების მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში აღნიშნული თემების კონტექსტში ხვდებოდა:

კონფლიქტები **ოკუპაცია** **ომი**	43 მასალა
უსაფრთხოება **ტერიტორიული მთლიანობა** **არაღიარების პოლიტიკა**	17 მასალა
კულტურა **ისტორია** **რელიგია**	7 მასალა
საქართველოს საშინაო პოლიტიკა	6 მასალა
დევნილები	5 მასალა
აფხაზეთსა და სამხ. ოსეთის რეგიონში მიმდინარე შიდა პროცესები	4 მასალა
სოციალურ-ეკონომიკური **საკითხები**	4 მასალა
სხვა	1 მასალა

რელევანტურ მასალებში თემატურად განსაკუთრებით ხშირად გვხვდებოდა სიუჟეტები და კადრ-სინქრონები კონფლიქტის ზონაში, კერძოდ, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო საზღვართან რუსი და ოსი ჯარისკაცების თუ პოლიციელების მიერ დაკავებული საქართველოს მოქალაქეების შესახებ. ასევე ხშირი იყო ახალი ამბები საქართველოს მოქალაქეთა გათავისუფლების ან მათი მდგომარეობის შესახებ. მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ხშირი იყო მასალები საქართველოს შიდა თუ საგარეო პოლიტიკის კონტექსტში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა თუ ოკუპაციის განხილვა, მაგალითად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური საპარლამენტო ანგარიშის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის თუ სახალხო დამცველის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენების, გაეროსა და ეუთოს ასამბლეებზე მიღებული რეზოლუციების კონტექსტში და ა.შ.

გარდა ამისა, კვლევა აკვირდებოდა რელევანტური მასალების გაშუქების კონტექსტს. დაზუსტებისთვის უნდა ითქვას, რომ წინამდებარე მონიტორინგი არ აკვირდებოდა გაშუქების ტონს, ანუ როგორ ინტერპრეტაციას აძლევდნენ მედიები ფაქტებს, რაც ხშირად არის ხოლმე მედია მონიტორინგის დაკვირვების საგანი. არამედ, ამ შემთხვევაში, დაკვირვება ხდებოდა გაშუქებული თემების კონტექსტზე, ანუ თავად თემების შინაარსობრივ მახასიათებელზე. გაშუქებული თემების კონტექსტის ნიშნით მასალების კატეგორიზაცია მოხდა ნეიტრალური, ნეგატიური და პოზიტიური კონტექსტის მქონე მასალებად. რელევანტურად მიჩნეულ სიუჟეტებსა და კარდ-სინქრონებში ჭარბობდა ნეგატიური კონტექსტის მასალები (56 მასალა). ნეიტრალური კონტექსტის იყო 28 მასალა, ხოლო პოზიტიურ კონტექსტში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რეგიონთან დაკავშირებული სულ 3 სიუჟეტი თუ კადრ-სინქრონი მოხვდა საინფორმაციო გამოშვებებში.

ნეგატიური კონტექსტის მქონედ შეფასდა ყველა ის მასალა, სადაც საუბარია ძირითადად უარყოფითი კონოტაციის მქონე მოვლენებზე, როგორიცაა ომი ან ომის დროს ადამიანების დახოცვის ფაქტები, კონფლიქტის ზონაში ადამიანების უფლებების დარღვევის ფაქტები, მაგალითად, გატაცებისა და უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის შემთხვევები და ა.შ. გარდა ამისა ნეგატიური კონტექსტის მქონედ შეფასდა მასალები, სადაც საუბარია კრიმინალიზე, რუსეთის სამხედრო და პოლიტიკურ ინტერესებზე, საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები ადამიანების რთულ ყოფაზე და ა.შ.

პოზიტიური კონტექსტის მქონე გაშუქების მასალად ჩაითვალა ის სიუჟეტები ან კანდრ-სინქრონები, რომლებშიც საუბარია აფხაზებთან თუ ოსებთან ურთიერთობების ნორმალიზებაზე, შერიგებასა და რეგიონებიდან დევნილი მოსახლეობის ინტეგრაციაზე.

ნეიტრალურად საინფორმაციო გამოშვებებში გასული ის სიუჟეტები შეფასდა, რომლებშიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონებთან, ოკუპაციასთან და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული თემები ისე გაშუქდა, რომ აქცენტი არ ყოფილა ნეგატიური კონოტაციის მქონე ფაქტებზე, ისტორიებსა თუ მოვლენებზე. მაგალითად, სხვადასხვა მოხსენებაში (როგორიცაა სხვადასხვა ოფიციალური პირის საპარლამენტო მოხსენებები) აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონების ხსენება, თუმცა არა განსაკუთრებული აქცენტით აღნიშნულ რეგიონებზე, ასევე ეუთოს რეზოლუციაში მოხვედრილი სადავო ფორმულირება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიასთან დაკავშირებით ანდა გაეროს რეზოლუციასთან დაკავშირებული სიუჟეტები და კადრ-სინქრონები, სადაც მხოლოდ ზედაპირულად არის ნახსენები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონები და ოკუპაციის საკითხი.



გაშუქების ზოგადი სურათის შეფასებისას, ცალსახა იყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში მცხოვრებ ადგილობრივთა ხილვადობის პრობლემა. მასალების უდიდესი ნაწილში (77 მასალა) საერთოდ არ ჩანდა ადგილობრივი მოსახლეობა. ხოლო 10 მასალიდან 5-ში ადგილობრივთა ხილვადობა გულისხმობდა კონფლიქტის რეგიონებიდან დევნილთა ან კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა ხილვადობას.

ასევე ცალსახა იყო მშვიდობაზე აქცენტით მომზადებული მასალების სიმცირე. 87 რელევანტური მასალიდან მხოლოდ და მხოლოდ 8 მასალაში იყო მეტნაკლები აქცენტი გაკეთებული მშვიდობაზე, სამშვიდობო ინიციატივებსა და შერიგების თემაზე. ამაზე უფრო ვრცლად მომდევნო თავში იქნება საუბარი.

აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რეგიონთან დაკავშირებული თემების გაშუქების ტენდენციები

რაც შეეხება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონებთან დაკავშირებული თემების თვისებრივ გაშუქებას, მონიტორინგის დროს გამოიკვეთა რამდენიმე ზოგადი ტენდენცია, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

1) აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონის გამოწვევები, როგორც არაპრიორიტეტული თემები

ცალსახად უნდა ითქვას, რომ წამყვანი ქართული ტელევიზიებისთვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონებში მიმდინარე შიდა ამბები სარედაქციო პოლიტიკაში პრიორიტეტულ თემებს არ წარმოადგენს, რაზეც ზარგინავას (2022) კვლევაც მიუთითებდა. მიუხედავად იმისა, რომ რიტორიკის დონეზე როგორც აფხაზეთის, ისე სამხრეთ ოსეთის რეგიონებს ქართული ტელევიზიები საქართველოს ტერიტორიულ სუბიექტებად განიხილავენ და ამ მიდგომის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება არც კი განიხილება, მედიასაშუალებების სარედაქციო პოლიტიკა პრაქტიკაში არ არის თანხვედრაში ამ მიდგომასთან. აღნიშნულ რეგიონებში მიმდინარე მოვლენები მხოლოდ და მხოლოდ ზედაპირულად ხვდება მეინსტრიმული ტელემედიის პრაიმ-ტაიმში გასულ საინფორმაციო გამოშვებებში.

იშვიათად, თუმცა, როგორც წესი, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონში მიმდინარე შიდა ამბები ქართული ტელევიზიების ყურადღებას მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცევს, თუკი იგი შეეხება რეგიონებში არსებულ შიდა პოლიტიკურ დაძაბულობას, როგორიცაა საპროტესტო გამოსვლები დე ფაქტო მთავრობების გადაყენების მოთხოვნით, დე ფაქტო არჩევნებს, ან რაიმე სხვა მიზეზით გამოწვეული პოლიტიკური დაძაბულობებს (მაგალითად, ე.წ. აპარტამენტების კანონი, კანონი უცხო ქვეყნის აგენტების შესახებ და ა.შ.). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თემების გაშუქება ცალსახად უნდა იყოს პრიორიტეტული ქართული ტელემედიისათვის მაყურებლების ინფორმირებისათვის, ეს არ ათავისუფლებს მათ პასუხისმგებლობისაგან, რომ გაცილებით უფრო მრავალფეროვანი და სიღრმისეული გახადონ თავიანთი სარედაქციო პოლიტიკა რეგიონებში მიმდინარე სხვა მნიშვნელოვანი ამბებისა, თუ აფხაზებისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონში მცხოვრები მოქალაქეების ყოველდღიურობის გაშუქების თვალსაზრისით.

როგორც მშვიდობის კვლევების ფუძემდებელი იოჰან გალტუნგი (2002) წერდა, ომის ჟურნალისტიკისთვის დამახასიათებელია ელიტებზე ორიენტირება. სწორედ ამის მომსწრენი ვართ ხშირ შემთხვევაში ქართულ ტელეარხებზე, როდესაც აღნიშნული რეგიონები ინტერესის სფეროში მხოლოდ იმ შემთხვევაში ექცევიან, თუკი პოლიტიკურ ელიტაში გარკვეული დაძაბულობა ან დაპირისპირებაა. მშვიდობის ჟურნალისტიკა და კონფლიქტების სენსიტიური გაშუქების საუკეთესო პრაქტიკა კი ამის საპირისპიროდ ადამიანებზე ფოკუსირებას გვთავაზობს. აღნიშნული პრინციპის პრაქტიკაში გატარება კი უზრუნველყოფდა, რომ ქართული ტელეარხები აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთის რეგიონთან დაკავშირებული თემების გაშუქებისას მეტ ყურადღებას დაუთმობდნენ ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ საკითხებს.

ზემოთ აღწერილი არსებული სარედაქციო პრაქტიკის დამსახურებით კი, ქართული ტელეარხების მაყურებელს არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ მიიღოს მეტნაკლებად სიღრმისეული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდება აფხაზეთსა თუ სამხრეთ

ოსეთის რეგონებში, როგორია შიდა პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დინამიკა, რა საკითხებია აქტუალური ადგილობრივებისათვის, მათ შორის იქ მცხოვრები ეთნიკური ქართველებისთვის და ა.შ. ამ საკითხების იგნორირება კი განაპირობებს, რომ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიებზე მცხოვრებ მოქალაქეებს აფხაზებისა და ოსებისადმი წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული გაუცხოების განცდა კიდევ უფრო უღრმავდებათ. ინფორმაციული სიმწირის პირობებში ლოგიკურია, რომ აფხაზური და სამხრეთ ოსეთის რეგიონში მცხოვრები საზოგადოებების შესახებ ზედმეტად სწორხაზოვანი ან არასწორი მოლოდინები და აღქმები არსებობს, კონფლიქტის როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ კონფლიქტის ზონებში მცხოვრები მოსახლეობის ნაწილი კვლავაც ახერხებს ქართულენოვანი მედიის მოხმარებას (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022). ხოლო მეინისტრიმული მედიის მიერ მათთან დაკავშირებული ამბების იგნორირებამ შესაძლოა მოსახლეობის აღნიშნულ ნაწილში კიდევ უფრო შეუწყოს ხელი გაუცხოების განცდას.

2) ნეგატიური კონტექსტის სიჭარბე ოკუპირებული რეგიონების გაშუქებისას

არსებული მწირი გაშუქების პირობებშიც კი, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებთან დაკავშირებული თემატიკა ძირითად შემთხვევაში მხოლოდ ნეგატიურ თემატურ კონტექსტშია მიწოდებული მაყურებლისათვის. აღნიშნული ტენდენციის პრობლემურობა ხაზგასასმელია იმის გავითვალისწინებთ, რომ მედიასაშუალებები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ საზოგადოებრივი განწყობებისა და ცნობიერების ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებით კი ისეთ მგრძნობიარე საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა კონფლიქტის რეგიონები. მონიტორინგის პერიოდში ეს რეგიონები ტელემედიის ობიექტივში ძირითად შემთხვევაში შემდეგ თემებთან კავშირში ხვდებოდა:

- კონფლიქტის ზონიდან საქართველოს მოქალაქეების გატაცება, უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა ან გათავისუფლება;
- კონფლიქტის ზონაში რუსი სამხედროების მიერ მოკლული საქართველოს მოქალაქეები (გიგა ოთხოზორიას მკვლელობა, თამაზ გინტურის მკვლელობა);
- კონფლიქტის ზონაში (უმეტესწილად საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიებზე) მცხოვრები ადამიანების რთული ყოფა-ცხოვრება;
- რუსეთის მიერ ანექსია და ე.წ. მცოცავი ოკუპაცია (ოჩამჩირის სამხედრო პორტის მშენებლობა, ჩორჩანის ტყის ოკუპაცია, სამხედრო ბაზები, გრემისხევთან რადიო-ელექტრონული სადგურის მოწყობა და ა.შ.);
- არაღიარების პოლიტიკა (როგორც შიდა, ისე საერთაშორისო პოლიტიკურ დისკუსიებში);
- აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის რეგონში მიმდინარე პოლიტიკური დაძაბულობები (ე.წ. აგარაკების კანონი);

- აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის რეგონებში მომხდარი კრიმინალური შემთხვევები (აფხაზ და რუს მესაზღვრეებს შორის მომხდარი სროლა, ანატოლი ბიბილოვის ძმისშვილისთვის ცეცხლის გახსნა და ა.შ.);
- აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის რეგონებში მიმდინარე პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროცესების დელეგიტიმაცია (მაგალითად, დე-ფაქტო ხელისუფლებების არჩევნები);
- საქართველოში მიმდინარე შიდაპოლიტიკური დისკუსიებში პოლიტიკური პარტიების მიერ რუსული ინტერესების გატარებაში ურთიერთბრალდებები და ა.შ.

ზემოთ ჩამოთვლილი თემები, მაყურებლის ინტერესიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ტელევიზიების განსაკუთრებული ყურადღებას იმსახურებს, რაც თავისთავად პრობლემას არ წარმოადგენს. თუმცა, ზოგად სურათში პრობლემას ქმნის აღნიშნული რეგიონების მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის უფლებების დარღვევის, ისტორიული ომის ტრავმის, ოკუპაციის, ომისა და ქვეყნის ღალატში ურთიერთბრალდებების კონტექსტში მოხვედრა. შესაბამისად, პრობლემა არის არა ზემოთ ჩამოთვლილი თემების გაშუქება, არამედ მედიაორგანიზაციების მხრიდან აღნიშნული რეგიონების მხოლოდ ნეგატიური კონტექსტის მქონე თემებთან დაკავშირება.

კონფლიქტის რეგიონების ნეგატიურ კონტექსტში გადაჭარბებულად გაშუქების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მედიასაშუალებების რეაქციული ბუნებაა, რის გამოც ისინი ხშირად მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ ამზადებენ მასალას, რაც ესა თუ ის მოვლენა მოხდება. შედეგად, მედიასაშუალებები ვერ ქმნიან პოზიტიურ დღის წესრიგს, რისთვისაც გაშუქებისთვის რელევანტური თემების პროაქტიული მოფიქრება იქნება საჭირო. აღნიშნული ტენდენციის დამაზიანებელი შედეგი კი საბოლოო ჯამში მაყურებლების ცნობიერებაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგონების მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტთან დაკავშირებაა.

არსებული ტენდენციის საპირწონედ, კონფლიქტის მგრძნობიარე გაშუქების პრინციპებიდან გამომდინარე, მედიასაშუალებებს გააზრებული უნდა ჰქონდეთ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებთან დაკავშირებული დადებითი კონტექსტის მქონე თემების გაშუქების მნიშვნელობა. აღნიშნული მიდგომით, ისინი შეძლებდნენ კონფლიქტის მოგვარებაში დადებითი როლის შესრულებას, რაც პანის (2017) მიხედვით, შესაძლოა გულისხმობდეს საკომუნიკაციო სივრცის გაჩენას ნდობის გამყარების, მცდარი წარმოდგენების შესწორების, კონფლიქტის ახლიდან გააზრების თუ კონსენსუსის მიღწევისათვის. ამგვარი დადებითი პრაქტიკის დანერგვის შესაძლებობას კი შექმნიდა მედიის მიერ უფრო მეტი ყურადღების დათმობა ისეთი თემებისათვის, რაც შესაძლოა ინტერესთა კვეთაზე მიუთითებდეს ქართველებს, აფხაზებსა და ცხინვალისა და ახალგორის რაიონებში მცხოვრებ ადამიანებს შორის კულტურული, ეკონომიკური თუ სოციალური კავშირების თვალსაზრისით.

3) აფხაზებისა და ოსების ხილვადობისა და რესპონდენტთა მრავალფეროვნების პრობლემა

ზემოთ აღნიშნული ტენდენციების განუყოფელ ნაწილად შეგვიძლია დავინახოთ ასევე კონფლიქტის რეგიონებში მცხოვრები ადამიანების ხილვადობის პრობლემაც. ტელევიზიების პრაიმტაიმში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გაშუქების ამჟამინდელი პრაქტიკა ძირითად აქცენტს აკეთებს პოლიტიკურ ელიტაზე როგორც მედიისათვის რელევანტურ სუბიექტებზე, რაც გალტუნგის (2002) თანახმად, ომის ჟურნალისტიკის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. შედეგად, მონიტორინგისათვის რელევანტურ თემებზე ტელევიზიების მიერ მომზადებულ სიუჟეტებში ინფორმაციის მთავარ წყაროებად ძირითადად გამოყენებულია ოფიციალური სახელმწიფო ინსტიტუციები და მათთან დაკავშირებული ჩინოვნიკები და პოლიტიკოსები.

როგორც წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა მედიამონიტორინგმა ცხადყო, მედიების მომზადებული მასალების აბსოლუტურ უმრავლესობაში კონფლიქტის ზონების მოსახლეობა როგორც ინფორმაციის წყარო იშვითად არის გამოყენებული. ხოლო მათი ინფორმაციის წყაროდ გამოყენების შემთხვევაში ეს ადამიანები ძირითადად ეთნიკურად ქართველები არიან. შესაბამისად, კიდევ უფრო დეფიციტურია უშუალოდ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში, საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების ხილვადობა. აღნიშნული პრობლემა, ნაწილობრივ მედიასაშუალებებისაგან დამოუკიდებელი მიზეზით, წყაროებზე ხელმისაწვდომობის პრობლემით არის განპირობებული. ჩაკეტილი საზღვრებისა და საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე ჟურნალისტური საქმიანობის შეუძებლობის გამო, თავისთავად ნაკლები შესაძლებლობა აქვთ ქართულ ტელევიზიებში მომუშავე ჟურნალისტებს რომ პირდაპირი კონტაქტი ჰქონდეთ აფხაზ და ოს თანამოქალაქეებთან.

ამ პრობლემის საპასუხოდ, მედიასაშუალებებს შესაძლოა ორი კონტრ-სტრატეგია ჰქონდეთ: გამოიყენონ მეორეული წყაროები, რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებიდან მუშაობენ და რომელზე წვდომაც ონლაინ არის შესაძლებელი; ანდა დაეყრდნონ ისეთ ადგილობრივ წყაროებს, მაგალითად, მკვლევრებს, ექსპერტებსა თუ მეცნიერებს, რომლებსაც შეუძლიათ რომ აფხაზი და ოსი მოსახლეობის პოზიციების, შეხედულებების, გამოცდილებებისა თუ პერსპექტივებსი რეპრეზენტაცია გააკეთონ. ამ დროისათვის არსებული მედიაპრაქტიკის გათვალისწინებით კი, ეს ადამიანები იშვიათ შემთხვევაში გვევლინებიან პრაიმტაიმში გასული საინფორმაციო გამოშვებების რესპონდენტებად. ეს პრობლემა ნაწილობრივ კონფლიქტების მგრძნობიარე (ომების დაწყებისა და დასრულების) თარიღების გაშუქებისასაც გამოჩნდა, რაზეც საუბარი შესაბამის თავში იქნება.

4) ზედაპირული და ფრაგმენტული გაშუქება

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგონებთან დაკავშირებული საკითხები ტელემედიაში ხშირად ზედაპირულად და ფრაგმენტულად შუქდება. ქართული ტელევიზიები არასათანადო ძალისხმევას დებენ იმაში, რომ მოიპოვონ ადგილობრივი წყაროებისაგან ინფორმაცია, თუნდაც ეს წყარო აფხაზური ან ცხინვალის რეგიონში მომუშავე მედია იყოს. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ქართული ტელევიზიები სათანადო ყურადღებას უთმობენ აღნიშნულ რეგიონებში მიმდინარე მოვლენებს, როგორც წესი, ამბის გაშუქებისას თითქმის არ ჩანან თავად აფხაზები და ოსები და განსაკუთრებით აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეები. როგორც წინა ქვეთავში აღინიშნა, რესპონდენტებზე წვდომა გაჭიანურებული კონფლიქტის პირობებში უმეტესწილად შეუძლებელია. თუმცა, ადგილობრივ მედიებზე ონლაინ წვდომის პირობებში, სურვილის შემთხვევაში, ქართულ მედია ორგანიზაციებს შეუძლიათ რომ მეორეული წყაროები გამოიყენონ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებთან დაკავშირებული ამბების გაშუქებისას.

დღეს არსებული პრაქტიკა დიდწილად ამის საპირისპიროა, რისი ნათელი მაგალითი იყო 25 ივლისს ტელეკომპანია ფორმულას მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გასული სიუჟეტი, რომელიც ე.წ. "აპატარტამენტების კანონთან" დაკავშირებულ საპროტესტო გამოსვლას შეეხებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ფორმულამ საკმაოდ ვრცელი სიუჟეტი მიუძღვნა თემას, მასალაში არ მოხვედრილა არც ერთი აფხაზის კომენტარი და ინფორმაციის წყაროებად მხოლოდ და მხოლოდ ქართველი რესპონდენტები გვევლინებოდნენ.

ამ ტენდენციის კარგი ილუსტრაციაა ის ფაქტიც, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგონთან დაკავშირებული ნიუსების თუ სიუჟეტების დიდი ნაწილი შინაარსობრივად არის ერთგვაროვანი და რეაქტიული. ქართული ტელევიზიების ყურადღების ფოკუსში ისინი ხშირად იმ შემთხვევაში ხვდებიან, თუკი აღნიშნულ რეგიონებში ნეგატიური კონტექსტის მქონე განსაკუთრებით მწვავე მოვლენები ხდება, როგორიცაა საქართველოს მოქალაქეებისათვის უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა ან აღნიშნული მოქალაქეების გათავისუფლება. აღსანიშნავია, რომ იშვიათი გამონაკლისების გარდა, ეს თემები ზედაპირულად მხოლოდ რამდენიმეწამიანი კადრ-სინქრონებით შუქდება და ძირითადად ეყრდნობა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, ან რომელიმე სხვა ოფიციალური უწყების განცხადებას. ასეთი იყო, მაგალითად, პირველი არხის, აჭარის ტელევიზიისა და იმედის მიერ 8 მაისს გაშვებული მოკლე კადრ-სინქრონი უკანონოდ დაპატიმრებული ტრისტან მუშკიაშვილისა და ვალერი თეთრუაშვილის გათავისუფლების შესახებ ან 19 ივნისს აჭარის ტელევიზიის მიერ მომზადებული მასალა, რომელშიც ზედაპირულად ახსენეს ოკუპირებული რეგიონებიდან ადამიანების გატაცებისა და უკანონო დაკავების ფაქტები, რომლებიც სახალხო დამცველის ანგარიშში მოხვდა. შესაბამისად, ამ თემების გაშუქებისასაც კი, მედიები მინიმალურ ძალისხმევას იღებენ იმისთვის, რათა გატაცებული მოქალაქეების

შესახებ ინფორმაცია ადგილზე მოიპოვონ, გაესაუბრონ ოჯახის წევრებს ან კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ სხვა მოქალაქეებს. მედიასაშუალებები არ სწევენ ძალისხმევას, რომ ცალკეული შემთხვევების მიღმა, სისტემურად არსებული პრობლემები დაინახონ და საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების ყოველდღიური პრობლემების აქტუალიზაცია მოახდინონ.

ამავე ტენდენციის ნაწილად შეგვიძლია განვიხილოთ ტელემედიებში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა, როდესაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ინფორმაცია ხშირად საქართველოს შიდა პოლიტიკური დაპირისპირების კონტექსტში ხვდება. აღნიშნული კონტექსტის ფარგლებში, როგორც წესი, სახელისუფლებო თუ ოპოზიციური პარტიები ოკუპაციის თემას პოლიტიკური მანიპულაციითვის იყენებენ, რაც შემდგომ ყოველგვარი სიღრმისეული ანალიზისა, თუ თემის არსებითი განხილვის გარეშე ავტომატურად ხვდება ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვებებშიც.

შესაბამისად, მეინსტრიმული ქართული ტელევიზიები არ სთავაზობენ მაყურებლებს მრავალფეროვან და პროაქტიული მიდგომით მოძიებული თემების გაშუქებას. ერთი მხრივ, ტელემედიის ამგვარი ზედაპირულობა შესაძლოა აიხსნას ადამიანური თუ მატერიალური რესურსების სიმწირით. თუმცა, გაცილებით უფრო მცირე რესურსების მქონე ონლაინ მედიასაშუალებები იძლევიან იმის მაგალითს, რომ დაინტერესების შემთხვევაში, შესაძლებელია მცირე რესურსებითაც კი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთის რეგიონთან დაკავიშრებული თემების გაცილებით უფრო დეტალური, სიღრმისეული და პროაქტიული გაშუქება. ამის კარგი მაგალითია ისეთი გამოცემების მუშაობა, როგორიცაა ნეტგაზეთი, OC Media, JAMnews, რადიო თავისუფლება და Эхо Кавказа, რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში მიმდინარე შიდა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ პროცესებს პროაქტიულად და რეგულარულად აშუქებენ.

გარდა ამისა, თავად მონიტორინგის მეთოდოლოგიური სპეციფიკით შეიძლება ნაწილობრივ აიხსნას ე.წ. რეაქტიული მედიამასალების სიჭარბე. დღის შემაჯამებელი საინფორმაციო გამოშვებები, ბუნებრივია, რომ მიმდინარე მოვლენებზე რეფლექსიას სთავაზობენ მაყურებლებს, შესაბამისად, ჭარბია რეაქტიული მასალებიც. თუმცა, ცენტრალური საინფორმაციო გამოშვებების სპეციფიკა და ხანგრძლივობა, დღის სხვა გამოშვებებისგან განსხვავებით, ასევე აძლევს მედიასაშუალებებს საშუალებას, რომ შედარებით სიღრმისეული სიუჟეტები არამიმდინარე ამბებზეც მოამზადონ. ამის ნათელი მაგალითია კულტურისა და სპორტის ბლოკების არსებობა ანდა საინფორმაციო გადაცემის მეორე ნახევარში არამიმდინარე, თუმცა აქტუალური თემატიკის გაშუქების პრაქტიკა. გარდა ამისა, თითქმის ყველა წამყვან ტელეარხს აქვს ე.წ. საკვირაო თუ შაბათის გადაცემები, რომლებიც, როგორც წესი, არამიმდინარე ამბების შედარებით უფრო სიღრმისეულად გასაშუქებლად გამოიყენება ხოლმე. შესაბამისად, აღნიშნულ გადაცემების დაგეგმვაში შეიძლება კიდევ უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი იყოს მიმდინარე ამბებზე რეფლექსია, რაც მედიაორგანიზაციებს უნდა აძლევდეთ

იმის საშუალებას, რომ პროაქტიულად გააშუქონ სხვადასხვა თემა, მათ შორის კონფლიქტის რეგიონები.

5) ტერმინოლოგია და ენასთან დაკავშირებული ტენდენციები

მონიტორინგის პერიოდში ტელევიზიების პრაიმტაიმში გასულ მასალებზე დაკვირვებით შეიძლება ითქვას, რომ, როგორც წესი, თავად ჟურნალისტების მიერ გამოყენებული ტერმინოლოგია უმეტესწილად ნეიტრალურია და არ გამოირჩევა განსაკუთრებული მტრული რიტორიკით ოსებისა და აფხაზების მისამართით. კვლავაც დამკვიდრებული პრაქტიკაა წინსართ "ე.წ."-ის გამოყენება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთის რეგიონთან დაკავშირებული ინსტიტუციების, პიროვნებებისა და პოლიტიკური პროცესების აღწერისას, რაც ზოგჯერ უხერხულობას ქმნის გადაჭარბებული გამოყენების შემთხვევაში. მაგალითად, 10 ივნისს აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებაში გასულ კადრ-სინქრონში, რომელიც სამხ. ოსეთის რეგიონში მიმდინარე დე ფაქტო არჩევნებს შეეხებოდა, გვხვდება წინადადება "ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვყენებული ე.წ. საპარლამენტო არჩევნების პირველადი შედეგების თანახმად, ყოფილი ე.წ. პრეზიდენტის ანატოლი ბიბილოვის ოპოზიციური პარტია ლიდერობს, მეორე ადგილზეა ამჟამინდელი ე.წ. ლიდერის ალან გაგლოევის პარტია, მესამეზე კი კომუნისტური პარტიაა. რუსეთის მიერ ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში გუშინ ჩატარებული ე.წ. საპარლამენტო არჩევნები დაგმო აზერბაიჯანმა, ისლანდიამ და მოლდოვამ."

ასევე, მედიის წარმომადგენლები იყენებენ ტერმინ "სეპარატისტებსაც" აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში დე ფაქტო მთავრობებზე საუბრისას. მაგალითად, მთავარი არხის 23 ივნისის საინფორმაციო გამოშვებაში ჟურნალისტი აღნიშნავდა, რომ "სროლის ხმა ისმოდა საქართველო-რუსეთის საზღვარზე, ფსოუზე, თუმცა კონფლიქტში მონაწილეობდნენ, როგორც ჩანს, სეპარატისტული რეჟიმის და რუსი მესაზღვრეები. როგორც ჩანს, შიდა გარჩევასთან გვაქვს საქმე, თუმცა ეს სროლა დასრულდა მსხვერპლით და არიან ასევე დაჭრილები. სროლის ხმა ახალ ათონშიც ისმოდა, სადაც ასევე არის დაჭრილი ერთი მოქალაქე. ჩვენი ინფორმაციით დაჭრილებს შორის არის აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის პირადი დაცვის წევრიც."

მონიტორინგის პერიოდში არ დაფიქსირებულა ჟურნალისტების მხრიდან მკვეთრად დისკრიმინაციული ენის გადაჭარბებული გამოყენების შემთხვევები ოსებისა და აფხაზების მისამართით. თუმცა, ცალკეული მედიასაშუალებების ეთერში ხვდება რესპონდენტების მიერ გამოყენებული უხეში და ზოგჯერ დისკრიმინაციული ტერმინოლოგია, როგორიცაა "მტერი", „ღორები", და ა.შ. მაგალითად, 6 მაისს ტელეკომპანია ფორმულას მიერ მომზადებულ სიუჟეტში ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: "როგორ უნდა ვთქვათ რომ ერთმორწმუნეობა აქვთ. ეგენი არიან ღორები, მაგათ არაფერი პასუხისმგებლობა არ გააჩნიათ. ძმის საფლავზე რომ მივა და კაცს გაიტაცებენ, რა უნდა თქვა, სიტყვები არა მყოფნის. ჩვენ

არა გვყავს ხელისუფლება, სად არის ხელისუფლება". თუმცა, ცალსახად მტრული ტერმინოლოგია ძირითადად გამოყენებული იყო არა აფხაზების ან ოსების, არამედ რუსი ჯარისკაცების და მესაზღვრეების მისამართით.

რაც შეეხება აფხაზებისა და ოსების მისამართით მედიაში მოხვედრილ განსაკუთრებით ნეგატიურ ტერმინებს ორი ასეთი ტერმინი შეიძლება გამოიყოს „მარიონეტული რეჟიმი" (ან სიტყვა "მარიონეტის" სხვადასხვა ვარიაცია) და „აფსუა და ოსი სეპარატისტები". მაგალითად, ტელეკომპანია მთავარზე გადაცემა პოსტ ფაქტუმის 2 ივნისის გამოშვებაში ვრცელი კრიტიკული სიუჟეტი მიეძღვნა წინასაარჩევნოდ "ქართული ოცნების" პოლიტიკას ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით. სიუჟეტი ცალსახად ნეგატიურია აფხაზებისა და ოსების მისამართით იყენებს რა ტერმინს „აფსუა და ოსი სეპარატისტები", თუმცა კრიტიკის ძირითადი ხაზი ქართულ ოცნებასა და მის პოლიტიკაზე მოდის.

აგრეთვე მთავარი არხის მიერ 21 ივლისს მომზადებულ სიუჟეტში სიტყვა "მარიონეტი" არაერთხელ იყო გამოყენებული როგორც ჟურნალისტის ტექსტში, ისე აფხაზი პოლიტიკოსის წარდგენისას: "მარიონეტებს საპრეზიდენტო არჩევნები 8 თვეში აქვთ დაგეგმილი და კგბის გენერალ მაიორ ასლან ბჟანიას არა იქაური მცხოვრებლების, არამედ კრემლის მხარდაჭერა სჭირდება"; "კანონპროექტი მარიონეტების პარლამენტის სხდომაზე მომავალ კვირას გავა და თითქმის გარანტირებულად დამტკიცდება, შემდეგ კი დაიწყება აფხაზეთში ახალი რუსეთის შენება"; "რომც არ გვცოდნოდა, აგერ მარიონეტული პარლამენტის წევრის კმაყოფილებით გავიგებდით, რომ ჩვენი ხალხი ენგურს გაღმა ნამდვილად საშველია, არა მხოლოდ ქართველები". აგრეთვე, 17 ივლისს ტელეკომპანია ფორმულას მიერ მომზადებულ სიუჟეტში აღნიშნული იყო, რომ "სოხუმში მარიონეტული პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების საკითხთა კომიტეტმა ე.წ. კანონი მიიღო აპარტამენტების შესახებ. განხილვა მასობრივი აქციების ფონზე მიმდინარეობდა."

6) პოლიტიკური პოლარიზაციის გავლენა კონფლიქტის რეგიონების გაშუქებაზე

საქართველოს შიდაპოლიტიკური პროცესების განსაკუთრებული პოლარიზაციის პირობებში მედიასაშუალებებში, განსაკუთრებით კი პოლარიზებულ ტელემედიაში, თითქმის აღარ რჩება ხოლმე სივრცე სხვა თემების, მათ შორის კონფლიქტის რეგიონებში მიმდინარე ამბების გაშუქებისათვის. მონიტორინგის პერიოდი, რომელიც საქართველოში ჯერ ე.წ. "რუსულ კანონთან" დაკავშირებულ პროტესტსა და საზოგადოებრივ მღელვარებას, ხოლო მოგვიანებით წინასაარჩევნო პერიოდის დასაწყისს დაემთხვა, ამის ნათელი დადასტურება იყო. გარდა იმისა, რომ საინფორმაციო გამოშვებებში ბუნებრივად ნაკლები დრო დარჩა სხვა თემების, მათ შორის კონფლიქტის რეგიონების გასაშუქებლად, ხშირად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონთან დაკავშირებული თემები მთლიანად პოლიტიკური

პოლარიზაციის პრიზმაში ხვდებოდა, რაც ხელს უშლიდა არსებითი დისკუსიის გაჩენას მედიაში.

სწორედ ამის მაგალითი იყო ისეთი თემების გაშუქება მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში, როგორიც იყო ირაკლი კობახიძის საპარლამენტო გამოსვლა და მის მოხსენებაში ოკუპაციის თემის გამოტოვება; ანდა ეუთოს 35-ე ასამბლეაზე მიღებული რეზოლუცია, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასაც შეეხებოდა. აღნიშნული თემა, ოპოზიციური ტელევიზიების ყურადღების ცენტრში უმეტესწილად იმის გამო მოექცა, რომ "ქართული ოცნების" წევრებმა რეზოლუციას მხარი არ დაუჭირეს საქართველოს ხელისუფლებისადმი კრიტიკული შინაარსის ტექსტის გამო.

წინასაარჩევნო პერიოდის დადგომასთან ერთად კი, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონთან დაკავშირებულმა თემამ კიდევ ერთხელ წამოიწია ქართული მედიის დღის წესრიგში. "ქართული ოცნების" საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის გაკეთებულ განცხადებას 2008 წლის ომში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლების ბრალეულობასთან დაკავშირებით, მედიაში განსაკუთრებული გამოხმაურება მოჰყვა. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით არსებითი დისკუსიის ნაცვლად, პოლარიზებულმა მედიასაშუალებებმა აღნიშნული თემა, პოლიტიკური დისკურსის არეკვლით, ასევე პოლარიზებულად გააშუქეს. მთავრობასთან აფილირებულმა მედია საშუალებებმა ყურადღება გაამახვილეს "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ბრალეულობაზე, ხოლო ოპოზიციურმა ტელეკომპანიებმა მთავარი აქცენტი ბიძინა ივანიშვილისა და "ქართული ოცნების" პრო-რუსულ პოლიტიკასა და "მტრულ" ნარატივთან თანხვედრაზე გააკეთეს.

მაგალითად, 17 ივლისს ტელეკომპანია პირველის საინფორმაციო გამოშვებაში "ქართული ოცნების" საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციაზე ბიძინა ივანიშვილის სიტყვით გამოსვლასთან დაკავშირებით, სიუჟეტი შემდეგი ტექსტით იყო წარდგენილი:

> "ბიძინა ივანიშვილი პუტინის ოცნების ასრულების პირობას დებს. მუქარა აგვისტოს ომის გამოძიებაზე და წინა ხელისუფლების გასამართლება - ეს არის ივანიშვილის მთავარი წინასაარჩევნო დაპირება. რჩება შთაბეჭდილება, რომ ივანიშვილი ტრიბუნიდან პუტინს აბარებდა ანგარიშს. თვითიზოლაციაში მოქცეულ "ქართული ოცნების" ლიდერს ერთადერთი დაპირება მხოლოდ ის ქონდა, რომ ომის დაწყებისთვის არა რუს გენერლებს, არამედ საკუთარ მოქალაქეებს გაასამართლებს. ხელისუფლებაში ყოფნის მე-12 წლისთავზე ივანიშვილის საზოგადოებისთვის მეტი სათქმელი არ აქვს. ქვეყნის მთავარი გამოწვევა არარსებული გლობალური ომის პარტიაა, ქვეყნის შიგნით კი ამ პარტიის რადიკალური წარმომადგენლები, რომელბსაც გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა. ეს გზავნილი ყველა გამომსვლელის სიტყვაში მთავარი იყო. ზოგადად "ქართული ოცნების" ტრიბუნიდან ყველაზე ხშირად ორი სიტყვა ისმოდა, ომი და ბიძინა."

14 ივლისს კი, ტელეკომპანია იმედის საკვირაო გადაცემაში “იმედის კვირაში” ვრცელი სიუჟეტი გავიდა, რომელიც ქართულ ოცნებასთან აფილირებული მოძრაობის "ერთიანი ნეიტრალური საქართველოს" დაფუძნებას ეძღვნება. სიუჟეტის ერთი ნაწილი შეეხება საქართველოს მიერ ნეიტრალიტეტის გამოცხადების მნიშვნელობას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კონტექსტში. ტელეკომპანია იმედმა ყოველგვარი კრიტიკული კითხვის დასმის გარეშე შესთავაზა მაყურებლებს მოძრაობის წარმომადგენლების ისეთი იდეები, როგორიც იყო ნანა კაკაბაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ:

> "ეს საფრთხე გვაიძულებს, რომ გადავხედოთ იმ პოლიტიკას, რომელსაც დღეს ეს ხელისუფლება ატარებს. ნუ აღარაფერს ვამბობ წინა ხელისუფლება რასაც ატარებდა და ერთადერთი გამოსავალი თუნდაც ის, რომ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა იქნეს აღდგენილი, არის ალბათ ის პოზიცია, რომ ჩვენ ვიყოთ ნეიტრალური ქვეყანა და ვიზრუნოთ იმაზე როგორ უნდა მოხდეს ტერიტორიების დაბრუნება. და ჩვენ მიგვაჩნია, რომ ერთ-ერთი გზა, რომელიც უნდა ვცადოთ, ეს უნდა იყოს სწორედ ეს, ნეიტრალიტეტის პოლიტიკა" - ნანა კაკაბაძე.

იმავე სიუჟეტში, ტელეკომპანია იმედმა მაყურებელს მოძრაობის სხვა დამფუძნებლის, ბიძინა გიორგობიანის შემდეგი ციტატა შესთავაზა:

> "ნეიტრალიტეტი ჩვენ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ პოლიტიკურ სიბრტყეზე შეგვეძლოს ველაპარაკოთ ჩვენ აფხაზეთს და ცხინვალის ხელისუფლებას, იმიტომ რომ თუ ჩვენ დავუშვათ ველაპარაკებით როგორც რომელიმე სამხედრო ბლოკის მოსურნე ქვეყანა, ისინი ეკუთნიან საწინააღმდეგო სამხედრო დაჯგუფებას. აქ ინტერესთა თანხვედრა ძნელი მოსაძებნია. რაც შეეხება ნეიტრალიტეტს, ნეიტრალიტეტი ჩვენ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მათ ველაპარაკოთ როგორც ჰუმანიტარულ ასევე ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებზეც და ეს ძალიან ძლიერი ინსტრუმენტია სხვათაშორის სამხრეთ კავკასიაში გრძელვადიანი მშვიდობის დასამყარებლად".

ისევე როგორც ნანა კაკაბაძის შემთხვევაში, არც ბიძინა გიორგობიანის მოსაზრებებისთვის გაუწევია კრიტიკული ოპონირება ტელეკომპანიის ჟურნალისტს. მას არ შეუთავაზებია მაყურებლისთვის ამ მოსაზრებების განსხვავებული შეფასება, რითაც იქმნებოდა განცდა, რომ ტელეკომპანია ან უბრალოდ პლატფორმას აძლევდა პრო-სახელისუფლებო პოლიტიკურ მოძრაობას ანდა იზიარებდა მათ მოსაზრებებს.

7) მშვიდობის პოლიტიკის უგულებელყოფა და მშვიდობის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზება

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც მონიტორინგის პერიოდში ქართულ ტელემედიაში გამოიკვეთა, ეს არის მშვიდობის დისკურსის უგულებელყოფა, ან

მისი პოლიტიკური ინსტრუმენტალიზება, ხოლო შერიგების თემის თითქმის სრული უგულებელყოფა.

ტელევიზიებში გასული სიუჟეტებისა და კარდ-სინქრონების უმეტესი ნაწილი ან თემიდან გამომდინარე არ უთმობდა ყურადღებას მშვიდობის პოლიტიკას, ანდა მშვიდობის თემას პოლიტიკურ ინსტრუმენტად იყენებდა. მონიტორინგისას შერჩეული რელევანტური სიუჟეტების დიდ ნაწილში, რომელიც შეეხებოდა ოკუპაციას, ოკუპირებულ ტერიტორიებს, კონფლიქტს, ომს და ა.შ. ჟურნალისტების ტექსტებში არ ჩანდა აფხაზებთან და ოსებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების იდეის წინ წამოწევის ან რაიმე ფორმით მისი განხილვის მცდელობა. ცალკეული გამონაკლისების სახით, თუმცა ისიც ზედაპირულად, იყო შემთხვევები, როდესაც რესპონდენტი გამოხატავდა მშვიდობიან ქვეყანაში ცხოვრების სურვილს. მაგალითად, ტელეკომპანია იმედზე 6 მაისს გასულ სიუჟეტში, რომელიც შეეხებოდა აღდომის მეორე დღეს, მიცვალებულთა მოხსენიების დღეს, მუხათგვერდში ძმათა სასაფლაოზე შეკრებილი ჯარისკაცების ოჯახებს, 2008 წლის ომში გარდაცვლილი ჯარისკაცის მშობლები აღნიშნავენ:

> "16 წელი გადის რაც აღდგომას მის გარეშე ვხვდებით. ვცხოვრობთ ამ სიამაყით და სიმწრით, კიდევ ერთხელ ვიტყვი ამას. მშვიდობა მინდა ვუსურვო ჩემ ქვეყანას და ამათ თავგანწირვას თქვენთვის მოეტანოს ბედნიერი მომავალი," ... "ჩვენმა შვილებმა სამშობლოს შეწირეს თავი. ისინი საქართველოსთვის იბრძოდნენ, თქვენ ყველანი კარგად იყავით და მშვიდობიან საქართველოში გეცხოვროთ."

მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი შემთხვევების დროს სიუჟეტები მოინიშნა მშვიდობაზე აქცენტის მქონედ, თავად მედიების მომზადებულ ტექსტებში მშვიდობის პოლიტიკა არ ყოფილა არსებითად განხილული და საკმარისად აქცენტირებული.

ხოლო მშვიდობის თემის პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენება განსაკუთრებით ცხადი გახდა მას შემდეგ, რაც წინასაარჩევნო პერიოდის მოახლოებასთან ერთად "ქართულმა ოცნებამ" მშვიდობის თემა ფაქტობრივად საარჩევნო ლოზუნგად აქცია. შესაბამისად, აფხაზებთან და ოსებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების რეალური მექანიზმების ან გეგმის განხილვის, თუ კრიტიკის ნაცვლად, მშვიდობის თემა ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი მედიის მეშვეობით პოლიტიკურ ოპონენტებზე თავდასხმისათვის გამოიყენებოდა, მათი რუსეთთან ომში ჩაბმის მსურველად მონიშვნით.

მეორე მხრივ, ოპოზიციურად განწყობილ მედიასაშუალებებში ხელისუფლების მიერ მშვიდობის თემის წინ წამოწევა განხილული იყო როგორც "ქართული ოცნების" რუსეთთან მოკავშირეობის ილუსტრაცია. "ქართული ოცნებისა" და მისი მხარდამჭერი ტელევიზიების მხრიდან წინასაარჩევნო პერიოდში მშვიდობის თემაზე დაწყებული აგრესიული კამპანიის საპასუხოდ, ოპოზიციურად განწყობილი ტელევიზიების პრაიმტაიმში მშვიდობის თემა ძირითადად ხელისუფლების მიერ ამომრჩევლის მანიპულირების კონტექსტში ხვდებოდა. ოპოზიციურად განწყობილმა ტელემედიებმა მშვიდობის თემა ვერ დაინახეს

როგორც მოსახლეობის რეალური წუხილი. შესაბამისად, ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ ტელევიზიებს პრაიმტაიმში არ შეუთავაზებიათ სივრცე ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური სუბიექტებისათვის, რომ მშვიდობის მათეული პროექტი წარმოედგინათ ამომრჩევლისთვის.

აქედან გამომდინარე, წამყვანი ქართული ტელევიზიების მაყურებელს მშვიდობის თემაზე, თუნდაც მანიპულაციურად და რიტორიკის დონეზე, ძირითადად მხოლოდ ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი მედიისგან შეეძლო ინფორმაციის მიღება.

რაც შეეხება შერიგების თემას, რომელშიც მედიას განსაკუთრებული როლი შეუძლია შეასრულოს და რომელიც კონფლიქტების მგრძნობიარე გაშუქების პრინციპებში ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია: თუკი არ ჩავთვლით ომებთან დაკავშირებულ მგრძნობიარე თარიღებს, რომელზეც ვრცლად კვლევის მომდევნო თავში იქნება საუბარი, აფხაზებთან და ოსებთან შერიგების თემა თითქმის მთლიანად გამქრალი იყო მედიის დღის წესრიგიდან როგორც ხელისუფლებისადმი ლოიალურ, ისე კრიტიკულ ტელემედიაში.

8) აფხაზეთის რომანტიზება

დაბოლოს, აფხაზეთთან დაკავშირებით, ცალსახაა ქართულ ტელევიზიებში ერთგვარი რომანტიზების დისკურსი. სამხრეთ ოსეთიდან დევნილი მოსახლეობისაგან განსხვავებით, ხშირია მედიაში აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმოჩენა მათ მიერ წარსულის გახსენებისა და წარსული ცხოვრების რომანტიზების კონტექსტში. მონიტორინგის პერიოდში ტელევიზიებში გავიდა სიუჟეტები, რომელთა შინაარსი არსებითად არ შეეხებოდა კონფლიქტის რეგიონებს, თუმცა სიუჟეტის გმირების აღნიშნულ რეგიონებთან კავშირი ერთ-ერთ მთავარ ხაზად გასდევდა მასალას. მაგალითად, მთავარი არხის გადაცემა "პოსტ ფაქტუმის" 9 ივნისის გამოშვებაში გავიდა ვრცელი სიუჟეტი პოლიტიკური პარტია "ახალის" წევრის პროფესორ თეიმურაზ პაპასქირის შესახებ, რომლის ოჯახიც აფხაზეთიდან არის დევნილი. სიუჟეტის ვრცელი ნაწილი დაეთმო სწორედ აღნიშნული პიროვნების აფხაზეთში ცხოვრების წლების გახსენებასა და მის ემოციებს დევნილობის გამო სოხუმში დატოვებულ სახლზე. აღნიშნული დისკურსის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოტანილია როგორც სიუჟეტის ტექსტი, ისე საუბრის ნაწყვეტი ჟურნალისტსა და რესპონდენტს შორის:

> "ჟურნალისტის ტექსტი: ისტორიკოსისა და ექიმის ოჯახში დაბადებული თეიმურაზე პაპასქირი სწორედ მარიამის ტოლი იყო, როდესაც მის ცხოვრებაში ყველაფერი დრამატულად შეიცვალა. სოხუმში დაბადებული და გაზრდილი, მშობლიურ ქალაქს 32 წელია მხოლოდ საარქივო მასალებში და ინტერნეტში შემთხვევით მოხვედრილ კადრებში ხედავს. მუდმივად ეძებს სახლს, სადაც მისი საუკეთესო მოგონებები დატოვა (ტექსტს ფონად გასდევს სოხუმის კადრები და სენტიმენტალური მუსიკა).

ჟურნალისტი: - გახსოვთ მისამართი?

რესპონდენტი: - კი, ...-ის ქუჩა 8, წილადი ერთი, ბინა 70, როგორ არ მახსოვს ოფიციალური მისამართია... კორპუსი იყო, მეხუთე სართულზე ვცხოვრობდით, ბინაში მეზობლები იყვნენ და ახლა უკვე ისიც არ ვიცით კონტაქტი პრაქტიკულად არ არსებობს. გარდაიცვალა თვითონ ის მეზობელი, სხვათაშორის იმ მეზობელმა რეალურად გადაარჩინა ჩემი მშობლები სიკვდილს და მის ბინას ჭურვი ქონდა მოხვედრილი და ჩემმა მშობლებმა უთხრეს, რომ სანამ დაბრუნება იქნება ჩვენი, მანამდე შენ იცხოვრეო. ის მეზობელი გარდაიცვალა და ახლა უკვე როგორაა საქმე ისიც არ ვიცით."

ჟურნალისტის ტექსტი: საქართველო, აფხაზეთი, სოხუმი, ...-ის ქუჩა ახლაც თეიმურაზ პაპასქირის ოფიციალური მისამართია. უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტის პირველი სტუდენტი იყო, როდესაც აფხაზეთის ომი დაიწყო და პაპასქირების როგორც ისტორიკოსების ოჯახი რუსების და სეპარატისტების მთავარი სამიზნე გახდა. ამიტომ სოხუმის დატოვება ძლივს მოასწრეს.

რესპონდენტი: "ნუ სოხუმი სულ ჩემთანაა შემიძლია ვთქვა, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი წელი გავიდა დევნილობაში, 30 წელზე მეტია, რაც დევნილი ვარ და მიუხედავად ამისა, ყველაფერი, რასაც ვაკეთებ მე, ჩემი სამეცნიერო საქმიანობა ფორმალურად არ უკავშირდება აფხაზეთის ისტორიას და ა.შ. რადგან მე ვარ მსოფლიო ისტორიის სპეციალისტი, მაგრამ ერთი მომენტია, საერთაშორისო კონფერენციებზე როდესაც საზღვარგარეთ ტარდება, მე მხოლოდ იმ თემატიკით მივდივარ, რომელიც ირიბად მაინც ეხება აფხაზეთს."

გარდა ამისა, ტელეკომპანია იმედის მიერ საკვირაო გადაცემა “იმედის კვირაში” 7 ივლისს გასულ ვრცელ რეპორტაჟში სასულიერო პირის მამა თეიმურაზ ზაქარეიშვილის შესახებ წამყვანი ხაზი იყო სწორედ აღნიშნული სასულიერო პირის აფხაზეთში ცხოვრების პერიოდი და მისი პირადი განცდები და დამოკიდებულებები დაკარგული რეგიონისა და აფხაზეთში გატარებული წლების შესახებ. სასულიერო პირთან ჟურნალისტის საუბრიდან შერჩეული იყო ისეთი მონაკვეთები, სადაც ზაქარეიშვილი აღნიშნავს "მწამს, რომ აფხაზეთი ისევე ჩვენი იქნება. ეხლა რომ მაგას მომასწროს ღმერთმა, რომ იქანე ერთი წირვა შემასრულებინა, ალბათ ჩემისთანა ბედნიერი კაცი არ იქნება ამ ქვეყანაზე, ერთადერთი წირვა რომ იქ შემასრულებინა"; “სულ ამას ვფიქრობ, ერთი გამარონია სოხუმის ქუჩებში. მაგისთანა ლამაზი ქალაქი მსოფლიოში არ არსებობს".

აფხაზეთის ასეთი რომანტიზება, რომელიც ძირითადად ეფუძნება რეგიონის როგორც უდარდელი ბავშვობისა თუ ახალგაზრდობის ადგილიად წარმოდგენას, არასრულ და მცდარ შთაბეჭდილებას ქმნის რეგიონში არსებული ისტორიული რეალობის შესახებ. გარდა ამისა, რომანტიზების ეს პრაქტიკა ამყარებს ე.წ.

“დაკარგული სამოთხის” სტერეოტიპს, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ანალიტიკურ სიღრმესა თუ მაყურებლისათვის რეალისტური წარმოდგენების შექმნის შესაძლებლობას. როგორც კონფლიქტების მგრძნობიარე გაშუქებისა და მშვიდობის ჟურნალისტიკის პრინციპები მიუთითებენ, ამგვარი გამარტივებები სწორედ ომის ჟურნალისტიკისთვისაა მახასიათებელი. ამის საპირისპიროდ, კონფლიქტების მგრძნობიარე გაშუქების და მშვიდობის ჟურნალისტიკის პრინციპების გათვალისწინებით, აფხაზეთიდან დევნილი ქართველების ნოსტალგიის (რაც, თავის მხრივ, სავსებით ლეგიტიმური და გასაგები ემოციაა) ჩვენების პარალელურად, ტელემედიებმა ასევე უნდა შეძლონ ისტორიული რეალობის მეტნაკლებად ობიექტური რეკონსტრუქცია. ამით მედიები საკუთარ მაყურებლებს სწორ და რეალისტურ წარმოდგენებს შეუქმნან კონფლიქტსა თუ გაჭიანურებულ კონფლიქტში ჩართულ მხარეების და მათი პერსპექტივების მრავალფეროვნების თუ შეუთავსებლობის შესახებ.

კონფლიქტთან დაკავშირებული მგრძნობიარე თარიღების გაშუქება ტელემედიაში

ვინაიდან 1992-93 წლების აფხაზეთის ომსა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებულ თარიღებს ქართულ მედიასაშუალებები რეგულარულად აშუქებდნენ, კვლევის ფარგლებში ასევე დამონიტორინგდა ტელევიზიების მთავარი საინფორმაციო გამოშვბები შემდეგ დღეებში: 7-8 აგვისტო (2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების თარიღი), 14 აგვისტო (აფხაზეთის ომის დაწყების დღე 1992 წელს; და 27 სექტემბერი - აფხაზეთის ომის დასრულების თარიღი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქართულმა ტელევიზიებმა აღნიშნულ დღეებში საკმაოდ დიდი ყურადღება დაუთმეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონთან დაკავშირებული თემების გაშუქებას. განსაკუთრებით კი 7-8 აგვისტოსა და 27 სექტემბერს. 14 აგვისტოს კი აფხაზეთში ომის დაწყებასთან დაკავშირებით პრაქტიკა არაერთგვარია. ზოგიერთი ტელევიზია მოკლე საინფორმაციო სინქრონით შემოიფარგლებოდა, ზოგიერთ ტელევიზიას კი მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ამ დღესთან დაკავშირებით ინფორმაცია საერთოდ არ გადაუცია. ქვემოთ შეჯამებულია ტელევიზიების პრაიმ ტაიმში აღნიშნული ომებთან დაკავშირებული თარიღების გაშუქების ძირითადი ტენდენციები.

ერთი ომის ორი თარიღი და აგვისტოს ომი როგორც მედია პოლარიზების ლაკმუსის ქაღალდი

აგვისტოს ომთან დაკავშირებით, ერთ-ერთი მთავარი თვალსაჩინო ტენდენცია მედიაორგანიზაციების მიერ ომის დაწყების სხვაადასხვა თარიღის აღნიშვნაა. ქართული ტელევიზიები პოლიტიკური ორიენტაციისა და “ქართული ოცნების”

ხელისუფლებისადმი განწყობის მიხედვით აგვისტოს ომის დაწყების თარიღად 7 ან 8 აგვისტოს მიიჩნევენ. სწორედ ამ ლოგიკის მიხედვით იყო სიუჟეტების შინაარსი და რიგითობა გადაწყვეტილი ტელევიზიებში ამ დღეებში.

7 აგვისტო

ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილმა ტელევიზიებმა, მთავარმა, ფორმულამ და ტვ პირველმა 7 აგვისტოს მოამზადეს ვრცელი სიუჟეტები 2008 წლის ომის მოვლენებთან დაკავშირებით. სიუჟეტებში ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო ომის ქრონოლოგიაზე, ომის შედეგებზე, მათ შორის საქართველოს მხრიდან დაღუპული და დაჭრილი სამხედროების, პოლიციელებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის რიცხვის, დევნილთა და ოკუპირებული დასახლებების შესახებ. ამ არხებზე გასული სიუჟეტების მთავარი აქცენტი იყო რუსეთის როგორც ოკუპანტის ფაქტორი, ომის თვითმხილველების გამოცდილებები და "ქართული ოცნების" ხელისუფლების კრიტიკა ომის დაწყებაში საქართველოს დადანაშაულების გამო.

მაგალითად, 7 აგვისტოს მთავარი არხის მიერ მომზადებული პირველივე სიუჟეტი შემდეგი შესავლით იწყებოდა:

> "2008 წლის 7 აგვისტო საქართველოს უახლეს ისტორიაში დიდ გმირობას უკავშრდება. ეს დღე კიდევ ერთხელ ადასტურებს რომ მთავარი მტერი პუტინის რუსეთია. 16 წლის წინ რუსეთი საქართველოს თავს დაესხა. სამიზნე გახდა მშვიდობიანი მოსახლეობა და მათი სახლები, რომელთა ნაწილი ისევ განადგურებულია. ამ დღეების გახსენება 16 წლის შემდეგაც რთულია მათთვის, ვინც ნახა როგორ იქცეოდნენ რუსი ჯარისკაცები."

ხოლო ტვ პირველის სიუჟეტის შესავლიდან მაყურებელი მოისმენდა: "16 წელი აგვისტოს 5-დღიანი ომიდან. დღე, როდესაც რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრა. მართალია ოლიგარქის რეჟიმის ისევე როგორც კრემლი საბრძოლო მოქმედებების დაწყების თარიღაც 8 აგვისტოს ასახელებს, მაგრამ მოვლენების ქრონოლოგია 16 წლის წინ სულ სხვაგვარად განვითარდა. 2008 წლის 7 აგვისტოს გამთენიას რუსეთის რეგულარული სამხედრო ძალები საქართველოს ტერიტორიაზე უკვე აწარმოებდნენ სამხედრო იერიშს."

გარდა ამისა, სიუჟეტებში ყურადღება ეთმობოდა საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ოკუპაციის ხაზთან ვიზიტსა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიერ ომში დახოცილი ჯარისკაცების საფლავებისა და მემორიალებისათვის პატივის მიგებას.

7 აგვისტოს "ქართული ოცნების" ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილმა ტელევიზიებმა ასევე მოამზადეს სიუჟეტები დასავლური სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროკავშირი და ნატო) მიერ ომის წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ განცხადებებზე. "მთელი ცივილიზებული სამყარო

ომის დაწყების თარიღად 7 აგვისტოს ასახელებს. დასავლეთიდან საქართველოს მხარდამჭერი განცხადებები არ წყდება”- აღნიშნავდა ტვ პირველის ჟურნალისტი.

ამავე ტელევიზიებზე ასევე გავიდა ვრცელი სიუჟეტები უშუალოდ ოკუპაციის ხაზთან მცხოვრები ადამიანების ყოფის შესახებ. სიუჟეტებში გარდა ომის გამოცდილებებისა ასევე განსაკუთრებულად იყო ხაზგასმული ხელისუფლების მიერ კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ადამიანების ყოფის უგულებელყოფის, რუსი ოკუპანტების შიშის პირობებში ცხოვრებასა და მათი რთული სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესახებ. ტელეკომპანიებმა ფორმულამ, ტვ პირველმა და მთავარმა ყველამ აქცენტი გააკეთა ოკუპაციის ხაზზე მცხოვრები ადამიანების მტრის პირისპირ მიტოვებაზე და ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ოკუპაციის ხაზთან ჩასვლისაგან თავის შეკავებაზე.

რაც შეეხება “ქართული ოცნების” ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ ტელევიზიებს - საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხს, აჭარის ტელევიზიას, იმედსა და რუსთავი 2-ს, 7 აგვისტოს ტელევიზიების მთავარი აქცენტი იყო არა თავად აგვისტოს ომის დაწყებაზე, არამედ ყოფილი სახელისუფლებო პარტიის “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” მიერ ომის დაწყების თარიღის შეცვლის მცდელობაზე, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენლების მიერ ევროსაბჭოს რეზოლუციაზე ხელის მოწერაზე, პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გამოცემულ 402-ე ბრძანებასა და “ქართული ოცნების” პოლიტსაბჭოს მიერ გამოქვეყნებულ ვრცელ განცხადებაზე, რომლის მთავარი აქცენტიც ომის დაწყებაში “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” მთავრობის ბრალეულობა და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების გასამართლება საქართველოს ომში ჩართვის გამო.

რუსთავი 2-მა საინფორმაციო გამოშვების პირველი სიუჟეტი სახელწოდებით “ომის შეცვლილი თარიღი” 7 აგვისტოს შემდეგი შესავლით წარადგინა:

> “დღეს 7 აგვისტოა, რუსეთთან ბოლო ომის დაწყების თარიღი. თუმცა წლების განმავლობაში, სააკაშვილის პარტია ამ თარიღს 8 აგვისტოს აღნიშავდა. რას მალავს ნაციონალური მოძრაობა და რატომ მანიპულირებს სხვადასხვა რიცხვით? ორივე კითხვა ლეგიტიმურია, მაგრამ ყოფილ ხელისუფლებას ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არ სურს. პასუხი აქვს მოქმედ მმართველ ძალას, რომელიც ნაციონალური მოძრაობის დანაშაულებრივ პროვოკაციაზე საუბრობს და შედეგებზე პასუხისმგებლობას რუსეთის ფედერაციასთან ერთად, სააკაშვილის რეჟიმს აკისრებს. არსებობს მიხეილ სააკაშვილის ბრძანებულება სადაც წერია რომ რუსებმა 8 აგვისტოს გადმოკვეთეს საქართველოს საზღვარი. რუსთავი 2-ის არქივი სხვა ფაქტებსაც ინახავს. ამიტომ რამდენი 16 წელიც არ უნდა გავიდეს, ეს ფაქტები ყოველთვის დარჩება ისტორიაში.”

აღნიშნულ სიუჟეტს კი მოჰყვა მეორე სიუჟეტი, რომელიც უკვე ევროსაბჭოს რეზოლუციას შეეხებოდა და შემდეგი ტექსტით იყო წარდგენილი:

> “200-ზე მეტი დაღუპული მშვიდობიანი მოქალაქე, 200-მდე სამხედრო, 2000-მდე დაჭრილი, მიტოვებული სახლები, დაკარგული ტერიტორიები, მათ შორის კოდორის ხეობა, 125 ოკუპირებული სოფელი, დევნილობაში დარჩენილი ათობით ათასი ადამიანი. ამ ყველაფრის ფონზე ნაციონალურმა მოძრაობამ ომის დასრულებიდან ზუსტად ორ თვეში მხარი დაუჭირა ევროსაბჭოს რეზოლუციას, სადაც წერია, რომ 7 აგვისტოს ქართული მხარის მიერ ცხინვალის დაბომბვამ კონფლიქტი ახალი და ღია დაპირისპირების ეტაპზე გადაიყვანა. ამავე დოკუმენტში საქართველოს მიერ გამოყენებული ძალა შეფასებულია როგორც დისპროპორციული და საფრთხის შემცველი მშვიდობიანი მოქალაქეებისთვის და რაც მთავარია ამავე რეზოლუციაში რუსეთის ქმედება შეფასებულია როგორც საპასუხო შეტევა. აი ეს არის დოკუმენტი, რომელსაც საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ, ნაციონალურმა მოძრაობამ მოაწერა ხელი.”

ანალოგიური მიდგომა ჰქონდა ტელეკომპანია იმედსაც, სადაც 7 აგვისტოს პირველ სიუჟეტად გავიდა “ქართული ოცნების” პოლიტსაბჭოს განცხადებაზე დაფუძნებული სიუჟეტი, სადაც ტელეკომპანია “ქართულ ოცნების” მსგავსად. “ერთიან ნაციონალურ მოძრაობას” ბრალს სდებს ომის დაწყებასა და ქვეყნის ღალატში და მათ გასამართლებას აანონსებს. ტელეკომპანია იმედმა თითქმის სიტყვა-სიტყვით წაიკითხა “ქართული ოცნების” პოლიტსაბჭოს ვრცელი განცხადება, იმედის მეორე სიუჟეტი კი უშუალოდ ომის დაწყების თარიღს შეეხებოდა და “ერთიანი ნაციონალური მოძრაობასთან” ერთად ისტორიის გადაწერაში ბრალი საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილისაც დასდეს:

> “აგვისტოს ომის თარიღი ნაციონალურმა მოძრაობამ ბოლო წლებში სპეკულაციის საგნად აქცია. 8 აგვისტო 7 აგვისტო გახდა სალომე ზურაბიშვილისთვისაც მას შემდეგ, რაც მან სააკაშვილის გუნდი პოლიტიკურ მოკავშირედ აირჩია ... რისი წაშლაც ნაციონალურ მოძრაობას ქართველი ხალხის მეხსიერებიდან სურს, საზოგადოებასაც კარგად ახსოვს და მედია არქივსაც. წინა ხელისუფლების წარმომდგენლები წლების განმავლობაში ომის დაწყების თარიღად სწორედ 8 აგვისტოს მიიჩნევდნენ და მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზეც ამ დღეს მიდიოდნენ. თუმცა 2013 წლის შემდეგ ეს შეიცვალა და რადიკალების ომის დაწყების წლისთავად 7 აგვისტოს ასახელებენ, სასაფლაოზეც 7-ში მიდიან და ვერც ერთ წელს ვერ ხსნიან ამ გადაწყვეტილების მიზეზებს.“

ომის თარიღთან დაკავშირებულ სიუჟეტს კი მოსდევდა სიუჟეტი ევროსაბჭოს ზემოხსენებულ რეზოლუციაზე და ნაციონალური მოძრაობის კრიტიკა აღნიშნულ რეზოლუციაზე ხელის მოწერის გამო. “ხელისუფლებებს შორის სხვაობას მათ მიერ წარმოებული პოლიტიკა აჩვენებს. ისტორიული ფაქტები ამტკიცებს რომ ერთი ხელისუფლება ომიდან მალევე ქართველი სამხედროების წინააღმდეგ რეზოლუციას ხელს აწერს, მეორე კი ომის საქმეზე რუსეთს ჰააგასა და სტრასბურგში ამარცხებს” - აღნიშნული იყო “ქართული ოცნების” ლოიალური ტელევიზიის მიერ მომზადებული სიუჟეტის ბოლოს.

სხვა სახელისუფლებო მედიების მსგავსი აქცენტებით გააშუქა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა 2008 წლის ომი 7 აგვისტოს. პირველი სიუჟეტი არა უშუალოდ აგვისტოს ომს, არამედ ასევე ომის სადავოდ გამხდარ თარიღს შეეხებოდა და განიხილავდა ევროსაბჭოს რეზოლუციას, მიხეილ სააკაშვილის 402-ე ბრძანებასა და ვიდეო არქივს, საიდანაც მტკიცდება რომ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლება ომის დაწყების თარიღად 2013 წლამდე 8 აგვისტოს აღიარებდა. ამ დღეს პირველმა არხმა ასევე აჩვენა მაყურებელს მოკლე კადრ-სინქრონები ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ მუხათგვერდის სასაფლაოზე მისვლასთან, პრეზიდენტ ზურაბიშვილისა და სახალხო დამცველის ოკუპაციის ხაზთან ჩასვლისა და ომის დაწყების წლისთავთან დაკავშირებით საერთაშორისო გამოხმაურებების შესახებ.

ხელისუფლებისადმი ლოიალურ ტელევიზიებს შორის განსხვავებული პრიორიტეტები ჰქონდა აჭარის ტელევიზიას, რომელმაც 7 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვებაში ჯერ უშუალოდ აგვისტოს ომზე, ომში დაღუპულთა საფლავებზე ოპოზიციის წარმომადგენლების ვიზიტზე ისაუბრა, ხოლო "ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს განცხადება "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პასუხისგებაში მიცემის შესახებ მხოლოდ ამის შემდეგ გააშუქა.

8 აგვისტო

რაც შეეხება 8 აგვისტოს, ამ დღეს ტელევიზიების მიერ გაშუქებული ინფორმაცის რიგითობა მნიშვნელოვან მანიშნებლებს იძლევა იმის შესახებ თუ როგორ ახდენს გავლენას პოლიტიკური პოლარიზაცია ტელევიზიების დღის წესრიგზე ისეთ მნიშვნელოვან დღეებშიც კი როგორიც 2008 წლის ომის თარიღია.

ოპოზიციურმა ტელევიზიებმა ტვ პირველმა, ფორმულამ და მთავარმა ამ დღეს საინფორმაციო გამოშვებები არა აგვისტოს ომის, არამედ უკრაინა-რუსეთის ომით, კერძოდ კი უკრაინის მიერ რუსეთში კურსკის ოლქში ქალაქ სუჯას დაკავების შესახებ ინფორმაციით დაიწყეს. ეს სარედაქციო გადაწყვეტილება გარკვეულწილად ასახავდა ტელევიზიების დამოკიდებულებას ომის დაწყების თარიღთან დაკავშირებით.

მეორე სიუჟეტად ორივე არხზე გავიდა ხელისუფლების მიერ მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე გარდაცვლილი ჯარისკაცების პატივის მისაგებად ვიზიტის დროს წინა ხელისუფლების გასამართლების დაანონსება. ტელეკომპანია ფორმულას სიუჟეტის დასაწყისიდან ვიგებდით:

> "რუსული პროპაგანდით, ძმათა სასაფლაოზე ომიდან 16 წლისთავზე "ქართული ოცნება" კრემლის რიტორიკით წარსდგა. ივანიშვილის რეჟიმის განცხადებები შინაარსითაც და ფორმითაც იმეორეობს მოსკოვის გზავნილებს 2008 წლის ომთან დაკავშირებით. ოლიგარქის ხელისუფლება ომში საქართველოს ადანაშაულებს. წელს სიახლე ისაა, რომ ოცნების წარმომადგენლებმა საკუთარი ქვეყანა, დასავლეთთან ერთად, რუსეთის

> წინააღმდეგ პროვოკაციაში დაადანაშაულეს. აქამდე ამბობდნენ რომ სააკაშვილი წამოეგო რუსეთის პროვოკაციას მაგრამ ახლა ივანიშვილის რუსულმა პროპაგანდამ საბოლოო სახე მიიღო. "ქართული ოცნების" განცხადებები ქვეყნის დაუფარავ ღალატად და მტრობად შეფასდა."

თითქმის ანალოგიური აქცენტები ჰქონდა ტვ პირველის მიერ 8 აგვისტოს მომზადებულ სიუჟეტსაც:

> "სირცხვილი ქვეყნისთვის და საუკუნის პროცესი რუსეთისთვის. ის, რასაც რუსეთი 16 წელია ვერ ამტკიცებს, "ქართული ოცნება" გეგმავს დაუდასტუროს რომ ომი საქართველომ დაიწყო. საჯარო სასამართლო საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ. ხელისუფლება უკვე სამართლებრივ მექანიზმებზე მუშაობს. პროკურატურა ან საკონსტიტუციო სასამართლო. პრემიერი უკვე იმ გზებს აანონსებს, რითაც ოცნება წინა ხელისუფლების გასამართლებას აპირებს. აგვისტოს ომის გამოძიება "ქართული ოცნების" მთავარი წინასაარჩევნო დაპირება ხდება. დაიწყო ივანიშვილმა და აიტაცა მთელმა გუნდმა. დღეს მმართველი გუნდის პირველი პირები არ მორიდებიან არც შვილმკვდარ დედებს, რომლებიც დღეს მუხათგვერდის სასაფლაოზე გმირებს იხსენებნდნე. მათ თანდასწრებით ოცნების ლიდერები პირობას დებდნენ, რომ ომი გამოძიებული იქნება და ერთი მეორეს მიყოლებით ბრალს წინა ხელისუფლებას უყენებენ."

ანალოგიური იყო მთავარი არხის მიერ მომზადებული სიუჟეტი აქცენტიც, სადაც აღნიშნული იყო რომ " ´ქართული ოცნება´ ისევ რუსეთის მთავარ მოკავშირედ და თანამოაზრედ რჩება საქართველოში. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება 2008 წლის ომის დაწყების თარიღაც კვლავ 8 აგვისტოს მიიჩნევს და ისევ საკუთარ სამშობლოს ადანაშაულებს ომის წამოწყებაში."

გარდა ამისა, ტელეკომპანია მთავარმა, ისევე როგორც ტვ პირველმა, სიუჟეტებში აქცენტი გააკეთა დაღუპული ჯარისკაცების ოჯახის წევრების იმ განცხადებებზე სადაც აღნიშნული იყო, რომ ისინი საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსეთისადმი ლოიალური დამოკიდებულებისადმი კრიტიკულად არიან განწყობილები.

"ეგ არავინ არა თქვას, რომ საქართველო დაესხა რუსეთს. ჩვენები ყოველთვის იცავდნენ სამშობლოს, რისთვისაც ჩემმა შვილებმა სისხლი დაღვარეს. რუსეთისკენ რომ მივდივართ ჩემთვის მიუღებელია ეგ... გავა დრო მოვა წლები რომ დააფასებენ ჩემ შვილს და არა მარტო ჩემ შვილებს," - აღნიშნავდა გარდაცვლილი ჯარისკაცების მამა ტელეკომპანია მთავართან.

ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ტელევიზიების მსგავსად, ხელისუფლებისადმი ლოიალურ მედიასაშუალებებსაც ერთმანეთის მსგავსი საეთერო ბადე ჰქონდათ, თუმცა ოპოზიციური ტელევიზიებისაგან რადიკალურად განსხვავებული აქცენტებით. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა, აჭარის ტელევიზიამ, იმედმა და რუსთავი 2-მა 8 აგვისტოს პირველ სიუჟეტად

მაყურებელს შესთავაზეს 2008 წლის აგვისტოს ომის ქრონოლოგია და ომის შედეგების მიმოხილვა, მათ შორის ინფორმაცია დაღუპულების, დაჭრილების, დევნილების რაოდენობისა და დაკარგული ტერიტორიების შესახებ. ყველა მათგანმა ცალკე ვრცელი სიუჟეტი მიუძღვნეს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლების, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გარდაცვლილ ჯარისკაცთა საფლავებზე პატივის მისაგებად მისვლას. როგორც მოსალოდნელი იყო, ოფიციალურ პირთა კომენტარები ომში დაღუპული ჯარისკაცების სამადლობელი სიტყვებისა და სამძიმრის განცხადებების გარდა ასევე შეეხებოდა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლების მიერ ქვეყნის ომში ჩართვასთან დაკავშირებულ ბრალდებებს და "ქართული ოცნების" მთავრობის დაპირებას, რომ არჩევნებში გამაჯვების შემდეგ ისინი ყოფილ ხელისუფლებას გაასამართლებენ.

საინტერესო იყო ისიც, რომ ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილმა მედიებმა ასევე ვრცელი სიუჟეტები მოამზადეს 8 აგვისტოს ოკუპაციის ხაზთან მცხოვრები ადამიანების ყოფის შესახებ. თუმცა აღნიშნული ტელევიზიების ამ სიუჟეტებში აქცენტი გადატანილი იყო უშუალოდ ომის გამოცდილებასა და რუსი ოკუპანტების სიახლოვეში ცხოვრების სირთულეებზე. შესაბამისად მთავრობისადმი ლოიალურად განწყობილი ტელევიზიებისათვის პრიორიტეტული არ ყოფილა მოსახლეობის მთავრობით უკმაყოფილების დაფიქსირება. აქ არ მოხვედრილა არც ერთი კრიტიკული კომენტარი სადაც ნახსენები იქნებოდა მაგალითად ის, რომ მოსახლეობა უკმაყოფილოა იმის გამო, რომ მთავრობის წევრების ოკუპაციის ხაზთან არ ჩადიან და თავს მიტოვებულად გრძნობენ.

ამავე სიუჟეტებში განსაკუთრებით იყო ხაზგასმული მშვიდობის საკითხი და მაგალითად ტელეკომპანია იმედის მომზადებულ სიუჟეტებში მშვიდობის მნიშვნელობა სხვადასხვა კონტექსტში:

> "აქ მშვიდობის ფასი ყველაზე კარგად იციან"; "„ომის გაკვეთილი და მშვიდობის მნიშვნელობა, სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი აქცენტი ხელისუფლების დღევანდელ განცხადებებში. მმართველი გუნდის ლიდერებმა დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს."

მშვიდობის თემა, რომელიც ქართულმა ოცნებამ წინასაარჩევნო დაპირებად აქცია, დომინანტური იყო როგორც ჟურნალისტების, ისე მთავრობისა და "ქართული ოცნების" სხვადასხვა წარმომადგენლის, მათ შორის, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილის, "ქართული ოცნების" თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილისა და თბილისის მერის კახი კალაძის განცხადებებში.

ტელეკომპანია იმედმა ასევე აქცენტი გააკეთა 8 აგვისტოს მომზადებულ სიუჟეტებში ომში გარდაცვლილთა ოჯახის წევრების უკმაყოფილებაზე, და გამოიყენა ინტერვიუები ოჯახის წევრებთან, სადაც ისინი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებას ბრალს სდებენ დაღუპული ჯარისკაცების სხეულების მიტოვებაში. ომის თემაზე მომზადებული სიუჟეტების სერია კი ტელეკომპანია

იმედმა დაასრულა “ქართულ ოცნებასთან” აფილირებული ერთიანი ნეიტრალური საქართველოს განცხადებით, სადაც აღნიშნული იყო, რომ „საერთო ჯამში, 2008 წლის ომი შეგვიძლია შევაფასოთ როგორც ერთგვარი ხარკი აშშ-ის მმართველი ძალებისთვის, რომელიც სააკაშვილმა ქართველი ხალხის სისხლით და ქართული მიწით გადაიხადა, იმისათვის რომ მის რეჟიმს დემოკრატიის შუქურის წოდება შენარჩუნებოდა და ქვეყნის მართვა სასტიკი ძალადობრივი მეთოდებით გაეგრძლებინა.“

საერთო ჯამში, 2024 წლის 7-8 აგვისტოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებული საკითხების მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გაშუქებისას ტელევიზიებს მთავარი აქცენტი გაკეთებული ჰქონდათ უშუალოდ: ა) ომის ქრონოლოგიაზე, მოსახლეობაში ომისა და ოკუპაციის გამოცდილებასა და შედეგებზე და ბ) შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებაზე “ქართულ ოცნებასა” და ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს შორის, განსაკუთრებით კი ომის დაწყების თარიღისა და ყოფილი სახელისუფლებო პარტიის “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” გასამართლების კონტექსტში. უშუალოდ ომთან დაკავშირებით მომზადებულ სიუჟეტებში აქცენტები კეთდებოდა ომის გამო დაკარგული სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების თუ საცხოვრებლის საკითხზე, ქართველი ჯარისკაცების, პოლიციელებისა და მოქალაქეების გმირობასა და ადამიანების ტრაგიკულ გამოცდილებებზე. ხოლო ომის დაწყების თარიღმა კი ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდის დატვირთა შეიძინა შიდა პოლიტიკური პოლარიზაციის თვალსაზრისით, ტელევიზიები, რომლებიც “ქართული ოცნების” პოლიტიკის გამტარები არიან 8 აგვისტოს ამზადებდნენ ვრცელ სიუჟეტებს ომთან დაკავშირებით. ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ტელევიზიები კი ომის დაწყების თარიღად 7 აგვისტოს ცნობდნენ.

აღნიშნულ თემებზე მომზადებულმა სიუჟეტებმა ფაქტობრივად მთლიანად დაიკავა საინფორმაციო გამოშვებებში არსებული დრო. შედეგად, განსაკუთრებით თვალში საცემი იყო რეალური გრძელვადიანი სამშვიდობო პოლიტიკის, აფხაზებთან თუ ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ადამიანებთან კომუნიკაციის დამყარების თუ საერთო ენის გამონახვის პოტენციალის როგორც თემების სრული უგულებელყოფა როგორც ხელისუფლებისადმი ლოიალურ ისე კრიტიკულად განწყობილ ტელემედიებში. ტელევიზიების მთავარი საინფორმაციო გამოშვებების ყურებისას ხშირად რჩებოდა განცდა, რომ 2008 წელს მომხდარ ომში მხოლოდ საქართველო და რუსეთი მონაწილეობდა, ხოლო მაგალითად სამხრეთ ოსეთის რეგიონის თუ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებები და იქ მცხოვრები ადამიანები თითქმის შეუმჩნევლები იყვნენ მედიების მიერ მომზადებულ მასალებში.

აფხაზეთის ომი 32 წლის შემდეგ

1992-93 წლების აფხაზეთის ომის დაწყებისა და დასრულების თარიღები კვლავაც ყოველწლიურად შუქდება ქართულ მეინსტრიმულ მედიაში, თუმცა სხვადასხვა ინტენსივობით. ომის დაწყების და, განსაკუთრებით, ომის დასრულების დღეებში,

ტელემედიების მიერ მომზადებულ სიუჟეტებში თითქმის მსგავსი ნარატივები გვხვდება როდესაც საუბარია უშუალოდ ომის გამოცდილებაზე, ქრონოლოგიასა და შედეგებზე. ერთი შეხედვით, აგვისტოს ომისაგან განსხვავებით, ქართულ მედიაში კონსენსუსი არსებობს აფხაზეთის ომთან დაკავშირებულ ფაქტებზე. ომი, რომელსაც ათასობით საქართველოს მოქალაქე შეეწირა და რომლის გამოც ასიათასობით მოქალაქეს საკუთარი საცხოვრებლის იძულებით დატოვება მოუწია, ტელემედიების მიერ მომზადებულ სიუჟეტებსა თუ კადრ-სინქრონებში წარმოჩენილია როგორც ორმაგი დატვირთვის—იგი არის მიზეზი ტკივილის, თუმცა ასევე სიამაყის.

14 აგვისტო

14 აგვისტო, როგორც აფხაზეთის ომის დაწყების თარიღი, შედარებით ნაკლებად ექცევა ტელემედიების ყურადღების არეალში. ეს დღე 7 წამყვანი ტელევიზიიდან მხოლოდ ოთხმა აღნიშნა მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში. მაგალითად, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა მოკლე კადრ-სინქრონი მიუძღვნა ამ დღეს გამოშვების შუაში, რომლის ტექსტიდანაც ვიგებთ:

> "აფხაზეთში ომის დაწყებიდან 32 წელი გავიდა. საომარი მოქმედებები 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო. საქართველოს შეიარაღებული ძალები ტერიტორიაზე რკინიგზის დაცვის მიზნით შევიდნენ. ომის ძირითადი ფაზა 13 თვე და 13 დღე გაგრძელდა და 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემით დასრულდა. სოხუმის დაცემას წინ უძღოდა რუსეთის მონაწილეობით მხარეებს შორის მოლაპარაკებები. 27 ივლისს ხელი მოეწერა სოჭის ხელშეკრულებას, რომელიც აფხაზურმა მხარემ ცალმხრივად დაარღვია, როდესაც ქართულ მხარეს აფხაზეთიდან გამოყვანილი ჰყავდა მძიმე სამხედრო ტექნიკა. ომის შედეგად აფხაზეთის ტერიტორიის დატოვება 300 000-მდე ადამიანს მოუხდა. საომარი მოქმედებების შედეგად, ქართული მხრიდან, ჯარისკაცებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის სახით, 10 000-მდე ადამიანი დაიღუპა. საქართველოს ისტორიული ნაწილის ოკუპაცია, წლების განმავლობაში უხეშად დარღვეული უფლებები და ეთნიკური დისკრიმინაცია ამ დრომდე ქვეყნის მთავარ გამოწვევად რჩება. საერთაშორისო მოწოდებების მიუხედავად, რუსეთის მხრიდან იგნორირებულია აფხაზეთის აღიარების უკან წაღების და სამხედრო ძალების გაყვანის ყველა მოთხოვნა. ოფიციალური თბილისი ქვეყნის მთავარი მიზნის, ტერიტორიული მთლიანობის მიღწევას მხოლოდ ნდობის აღდგენაზე ორიენტირებული სამშვიდობო პოლიტიკით განიხილავს."

მოკლე კადრ-სინქრონი მიუძღვნა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიამაც 14 აგვისტოს, რომელსაც ომის ქრონოლოგიასთან ერთად, ასევე თან ერთვოდა ისტორიკოსის ოთარ გოგოლაშვილის შეფასება, რომელიც აღნიშნავდა:

> „ედუარდ შევარდნაძემ და მისმა ე.წ. სამხედრო საბჭომ იოსელიანი-კოტივანი-სიგუას და სხვა კრიმინალების მეთაურობით ჯარი შეიყვანა რკინიგზის დაცვის საბაბით აფხაზეთის ტერიტორიაზე. ეს უნდოდათ

> სწორედ სეპარატისტებს. ეს უნდოდა სწორედ რუსეთის იმპერიას, რუსეთის საჯარისო ერთეულებს, რომელიც დიდი რაოდენობით იყო დისლოცირებული როგორც სოხუმში, ასევე სოხუმის მისადგომებთან. შეიტყუეს ქართული საჯარისო ერთეულები და მას ბრძოლა გაუმართეს აფხაზეთის ტერიტორიაზე. შემდეგ გამოაცხადა ისე, რომ აი ქართველები თავს დაესხნენ აფხაზეთს და უნდათ აფხაზი ერის გენოციდი და აფხაზი ერის განადგურება. კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს რუსული სცენარი იყო, რომელიც განახორციელა ედუარდ შევარდნაძისა და ე.წ. სამხედრო საბჭოს სცენარით."

კერძო ტელევიზიებიდან ვებგვერდებზე ატვირთული არქივიდან ირკვევა, რომ ტვ პირველს არ ჰქონია ცალკე მომზადებული სიუჟეტი, თუმცა აგვისტოს ომის გამოძიებასთან დაკავშირებული რეპორტაჟის ბოლოს ჟურნალისტმა 14 აგვისტო როგორც განსაკუთრებული თარიღი ახსენა და აღნიშნა: "დღეს აფხაზეთის ომის დაწყებიდან 32 წელი გავიდა და ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი ამ ტრაგიკულ თარიღს არც ერთი სიტყვით არ გამოხმაურებია, არც გმირთა მემორიალთან მისულან და არც განცხადებები არ გამოუქვეყნებიათ. პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის და თავდაცვის მინისტრის ბოლო აქტივობა სოციალურ ქსელში გუშინ იყო, თუმცა დღევანდელ დღეს არავინ შეხებია."

რამდენიმეწინადადებიანი კადრ-სინქრონით გამოეხმაურა ასევე ტელეკომპანია იმედი 14 აგვისტოს, ხოლო ტელეკომპანია მთავარს, ფორმულასა და რუსთავი 2-ს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ამ თარიღთან დაკავშირებით აფხაზეთში ომის დაწყების თემა არ უხსენებიათ.

27 სექტემბერი

14 აგვისტოსაგან განსხვავებით, 27 სექტემბერი, რომელიც საქართველოს უახლოეს ისტორიაში სოხუმის დაცემის დღედ არის ცნობილი, ყველა წამყვანი ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში მოხვდა. 27 სექტემბრის შემთხვევაშიც, 7-8 აგვისტოს მსგავსად, აფხაზეთში ომის დასრულების თემა ასევე დიდწილად შიდა პოლიტიკური დაპირისპირებისთვის გამოიყენეს ტელევიზიებმა.

რამდენიმე ტელეკომპანიამ თითქმის მთლიანი სიუჟეტი დაუთმო აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახის იმ წევრებს, რომლებიც 14 სექტემბერს გორში ბიძინა ივანიშვილის გაკეთებული განცხადებით იყვენენ აღშფოთებულები. ამ განცხადებაში ივანიშვილი აღნიშნავდა:

> „26 ოქტომბრის არჩევნების დასრულებისთანავე, როდესაც ომის გამჩაღებლები გასამართლდებიან, როდესაც უკლებლივ ყველა დამნაშავე ქართულ-ოსური ძმობისა და თანაცხოვრების დანგრევისთვის უმკაცრეს სამართლებრივ პასუხს მიიღებს, ჩვენ აუცილებლად გამოვძებნით საკუთარ თავში ძალას, რათა ბოდიში მოვიხადოთ იმის გამო, რომ დავალების

> შესაბამისად, მოღალატე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2008 წელს ცეცხლის ალში გახვია ჩვენი ოსი დები და ძმები“.

ტელეკომპანია ფორმულამ სწორედ ბოდიშის მოხდის ივანიშვილის იდეა აქცია სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებული სიუჟეტის წამყვან საკითხად. ფორმულას საინფორმაციო გამოშვებაში ამ თემას პირველივე სიუჟეტი მიეძღვნა, საიდანაც ვიგებთ:

> ”წლევანდელ 27 სექტემბერს ომის მსხვერპლთა ოჯახები დამატებითი სიმძიმით შეხვდნენ. გმირთა მემორიალიდან მათ ივანიშვილისთვის პასუხის გაცემა მოუხდათ. ოკუპანტს ბოდიშს არ მოვუხდით, უთხრეს დღეს ოლიგარქს”;
>
> “საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ თარიღს იხსენებს დედა, რომელსაც 19 წლის შვილი 31 წლის წინ 26 სექტემბერს მოუკლეს. ლუდმილა დარჯანიამ ცეცხლის ალში გახვეული ქალაქი არ დატოვა იქამდე, ვიდრე დაღუპული შვილი არ დაასაფლავა. შვილმკვდარი დედა დღეს წყენას ვერ მალავდა ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული განცხადებების გამო და პასუხს ითხოვდა იმაზე, ვის აქვს ბოდიში მოსახდელი.”

ანალოგიური აქცენტით გააშუქა 27 სექტემბერი ტელეკომპანია მთავარმა, რომლის სიუჟეტიც შემდეგი შესავლით იწყებოდა:

> “სოხუმის დაცემის დღეს ტრადიციულად აფხაზეთიდან დევნილები ერთმანეთს ისევ აქ გმირთა მემორიალთან ხვდებიან და ყოველ წელს ხვდებიან იმედით, რომ როდესმე შეძლებენ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ქალაქებსა და სოფლებში დაბრუნებას, სადაც ოჯახის წევრები დაკრძალეს. წელს ამ ადამიანებს იმაზე მეტი აქვთ სათქმელი ვიდრე ამ 30 წელში ჰქონდათ. წელს პირველად ამ ხელისუფლებამ მათი ამდენწლიანი იმედის გაქრობის წინაპირობა შექმნა. პირველად უთხრეს, რომ მტერს უნდა მოუბოდიშონ.”

გარდა ამისა, ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილმა ტელევიზიებმა მათ მიერ მომზადებულ სიუჟეტებში ასევე აჩვენეს ერთ-ერთი მოქალაქე, რომელიც გმირთა მემორიალთან მისულ ხელისუფლების წარმომადგენლებს საპროტესტო ბანერით დახვდა. თუმცა, საპროტესტო ბანერით გმირთა მოედანზე მდგარი ადამიანი ვერ დააფიქსირა ხელისუფლებისადმი ლოიალური ტელევიზიების კამერებმა. სამაგიეროდ ტელეკომპანია იმედისა და რუსთავი 2-ის კამერებმა გადაიღო გმირთა მოედანზე მყოფი ერთ-ერთი მოქალაქის დაპირისპირება პოლიტიკოს გიორგი ვაშაძესთან. “გმირების მემორიალთან მისულ ნაციონალური მოძრაობის ლიდერ გიორგი ვაშაძეს ომის გმირების ოჯახის წევრები დაუპირისპირდნენ. ვაშაძეს მიუთითეს, რომ ნაცმოძრაობის წევრებს მემორიალთან მისვლის მორალური უფლება არ აქვთ რადგან ადამიანები ომში მათი მმართველობის პერიოდშიც დაიღუპნენ” - აღნიშნავდა ტელეკომპანია იმედის ჟურნალისტი.

ტელეკომპანია იმედისთვის 27 სექტემბერი ხელსაყრელი თარიღი გადმოდგა ასევე საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის თავდასხმისა და საპასუხოდ "ქართული ოცნების" ხელისუფლების შექებისათვის. იმედის სიუჟეტის წარმდგენი ტექსტიდან ვიგებთ:

> "ხელისუფლებამ დაღუპულთა ხსოვნას დღეს პატივი მიაგო, სალომე ზურაბიშვილი კი დღეს გმირთა მოედანთან არ გამოჩენილა. ჩვენ დავუბრუნებთ ერთმანეთს. სამი სიტყვა და ამ სამ სიტყვაში ჩატეული ეროვნული მნიშვნელობის გზავნილი. სწორედ ეს არის სოხუმის დაცემიდან ზუსტად 31 წლის შემდეგ ხელისუფლების მთავარი სათქმელი."

სწორედ ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა გმირთა მემორიალებთან და საფლავებთან პატივის მისაგებად მისვლა იყო წამყვანი თემა, ომის ქრონოლოგიასა და შედეგებთან ერთად, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისთვისაც. აჭარის ტელევიზიამ თბილისსა და ბათუმში მთავრობის წევრების გარდა, სხვადასხვა მუნიციპალიტეტში დაკრძალული აფხაზეთის მეომრების საფლავებზე მისული ადგილობრივი ხელმძღვანელობების კომენტარები შესთავაზა მაყურებლებს. ისევე როგორც ყველა სხვა ტელევიზიის შემთხვევაში, აჭარის ტელევიზიამაც შესავალი ტექსტითა და რეპსონდენტების სინქრონების მეშვეობით განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი აფხაზეთში დაღუპულ ჯარისკაცთა გმირობასა და უდიდეს ტრაგიკულ დანაკარგებს რომელიც საქართველომ განიცადა აფხაზეთის ომში.

თუმცა, აფხაზეთის ომის ქრონოლოგიაზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საინფორმაციო გამოშვება "მოამბემ". "მოამბის" მიერ 27 სექტემბერს მომზადებული სიუჟეტის დიდი ნაწილი დასაწყისში უშუალოდ აფხაზეთის ომს შეეხება და არ აკეთებს აქცენტს ამჟამინდელ შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებაზე. "მოამბის" ჟურნალისტის ტექსტიდან ვიგებთ:

> "დაშვებული დროშები ქვეყნის უახლესი ისტორიის ტრაგიკული დღის გასახსენებლად. დღეს 27 სექტემბერია, 31 წლის წინ ამ დღეს სოხუმი დაეცა. ცეცხლში გახვეული ქალაქი, ალყაში მოქცეული უზენაესი საბჭოს შენობა, მთავრობის დახვრეტილი წევრები, ათასობით მსხვერპლი, ეთნიკური წმენდა, უგზოუკვლოდ დაკარგულები, დევნილად ქცეული ასეულ ათასობით ადამიანი და ფეხით გამოვლილი ჭუბერი. უმძიმესი კადრები, რომლებიც ჩვენს მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდა. 13-თვიანი და 13-დღიანი ომი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევით სოხუმზე გადამწყვეტი შეტევით, უთანასწორო ბრძოლით და აფხაზეთის დაკარგვით დასრულდა. რუსეთის მიერ ზურგგამაგრებული სეპარატისტების მიერ სოხუმზე ყველა მხრიდან მიტანილი იერიშებიდან 31 წლის შემდეგაც აფხაზეთის რეგიონი ოკუპირებული რჩება. დეოკუპაცია, დევინელბის სახლებში დაბრუნება და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ქვეყნის მთავარ ამოცანას წარმოადგენს. წლების შემდეგაც არ ნელდება ის

ტკივილი და განცდები, რომლებიც აფხაზეთიდან დევინლებმა 1992-93 წლებში გამოიარეს. ისტორიები მძიმედ მოსასმენია."

ისევე როგორც პირველმა არხმა, თითქმის ყველა ტელევიზიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ცალკეული პიროვნებების ისტორიებს, რომელთა დიდი ნაწილი ქართველთა წინააღმდეგ ჩადენილ სისასტიკეს შეეხებოდა. სიუჟეტებიდან ისმოდა ისტორიები ადამიანების წამებაზე, გაუპატიურებაზე, სხეულების დაწვაზე და ა.შ.

"მე გამოვიქეცი, დედაჩემი მოუკლავთ იქვე ეგდო საწყალი, სისხლის ზღვაში ცურავდა. სიკვდილზე უარესი იყო ის, რაც ჩვენმა გოგონებმა და ახალგაზრდა ქალებმა გადაიტანეს იქ."
"მე და ჩემი მკვდარი შვილი ვართ ერთად. ხალხი გარბის და მე შვილთან ერთად ვარ. მეც რომ მოვეკალი, მე მაინც არ დავტოვებდი ჩემ შვილს, სანამ არ მივაბარებდი მიწას და თუ მომკლავდნენ ერთად დავიმარხებოდით და ის იქნებოდა."
"სასაფლაო არ გამაჩნია. მარტო სახელი და გვარია აგერ."

რამდენიმე რეპონდენტმა გააჟღერა სიტყვა გენოციდიც, თუმცა თავად ტელევიზიების მიერ გენოციდის ნარატივი განსაკუთრებულად აქცენტირებული არ ყოფილა. „გენოციდია ქართველი ხალხის, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ბოდიში მოსახდელი აქეთ აქვთ"; „გენოციდი იყო აბა რა იყო, ნახევარი საქართველო სვანეთის გზაზე გაწყდა, ამაზე მეტი გენოციდი რა უნდა იყოს"- აღნიშნავდნენ რესპონდენტები ტვ პირველთან საუბრისას.

რამდენიმე რესპონდენტის, კერძოდ კი თბილისის მერის კახი კალაძისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ლევან მგალობლიშვილის მხრიდან ასევე გაჟღერდა ქართველებისა და აფხაზების მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და შერიგების საკითხიც:

„ერთ-ერთი უმძიმესი თარიღია საქართველოს ისტორიაში. კიდევ უფრო მძიმეა შედეგები, რომელიც ომის შედეგად მივიღეთ. დაკარგული ტერიტორიები და დაკარგული ჩვენი გმირი ჯარისკაცები. რა თქმა უნდა ვერაფერი ვერ გაანელებს ამ ტკივილს. თუმცა, საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე უნდა გადავდგათ კონკრეტული ნაბიჯები ურთიერთმიტევების, შერიგების. უნდა აღდგეს ნდობა ერთმანეთში, რომ შევძლოთ ტერიტორიული მთლიანობა. მე მწამს ერთი რამე, რომ მხოლოდ მშვიდობით, განვითარებით, ურთიერთპატივისცემით, მიტევებით და მშვიდობიანი გზით შესაძლებელია ნდობის აღდგენა".

„ჩვენი შერიგება გარდაუვალია, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის რომ ქართველმა და აფხაზმა დებმა და ძმებმა ერთად გავაგრძელოთ ეს სიცოცხლე. "ქართული ოცნება" გააკეთებს ყველაფერს რომ ერთი სახელი და გვარიც კი არ მიემატოს ამ კედელს."

თუმცა, შერიგებისა და მშვიდობის ეს ინიციატივები ტელემედიების მიერ მომზადებულ სიუჟეტებში მხოლოდ რიტორიკის დონეზე ისმოდა 27 სექტემბერსაც. არ გაჟღერებულა არც ერთი კონკრეტული ინიციატივა თუ იდეა, თუ როგორ არის შესაძლებელი აღნიშნული შერიგების იდეის რეალობაში განხორციელება. მშვიდობისა და შერიგების ამგვარი რიტორიკულობა ტელეეთერებში კიდევ უფრო თვალში საცემი იყო იმ ფონზე, რომ 27 სექტემბერს თითქმის არც ერთი ტელევიზიის მთავარი საინფორმაციო გადაცემის ეთერში არ გამოჩენილან ისტორიკოსები, მეცნიერები, ექსპერტები თუ მკვლევრები, რომლებიც უშუალოდ მშვიდობის პოლიტიკასა თუ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე მუშაობენ. სამაგიეროდ, ტელეეთერი გაჯერებული იყო პოლიტიკოსებითა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებით (განსაკუთრებით ხელისუფლებისადმი ლოიალურ არხებზე), რომლებიც ყოველ წელს ერთსა და იმავე მესიჯს ავრცელებენ.

2024 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, ქართული ტელემედიის მონიტორინგმა ცხადყო, რომ აფხაზეთის ომიდან 32 წლის თავზე, ერთგვარი კონსენსუსი არსებობს ქართულ მედიაში ომის ქრონოლოგიასა და შედეგებთან დაკავშირებით. თუმცა, წარსული ტრავმული გამოცდილების გახსენებისა და დანაკარგზე საუბართან ერთად, რაც აუცილებელი და გარდაუვალია, ქართული მედია პრაიმტაიმში ჯერაც არ სთავაზობს მაყურებელს კონფლიქტის გადააზრების თუ მისი გამომწვევი მიზეზების სიღრმისეული ანალიზს. ტელევიზიების საეთერო სივრცე ომით დაზარალებულთა პირად ისტორიებთან ერთად, თითქმის მთლიანად აქვთ ათვისებული პოლიტიკოსებსა და სახელმწიფო ჩინოვნიკებს, რომლებიც უმეტესწილად ან აღნიშნული თარიღის პოლიტიკური ინტერესებით გამოყენებას ცდილობენ ან ომში დაღუპულთა მემორიალებსა თუ საფლავებზე რუტინულ ვიზიტს ახორციელებენ, საიდანაც მხოლოდ და მხოლოდ რიტორიკის დონეზე ახსენებენ მშვიდობისა თუ შერიგების თემას.

დასკვნა და რეკომენდაციები

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო წამყვანი ქართული ტელევიზიების მთავარი საინფორმაციო გადაცემების მონიტორინგის მეშვეობით აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთის რეგიონთან დაკავშირებული თემების გაშუქების კვლევა.

მონიტორინგისათვის შერჩეულ სამთვიან პერიოდში (2024 წლის მაისი-ივლისი) დაკვირვება მოხდა 7 ტელევიზიის მთავარი საინფორმაციო გადაცემების 576 გამოშვებაზე. კვლევამ აჩვენა, რომ მონიტორინგის პერიოდში მოხვედრილი დღეების უმეტეს ნაწილში 7 ტელევიზიიდან არც ერთი მათგანის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არ მოხვედრილა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის რეგიონთან დაკავშირებული სიუჟეტი ან კადრ-სინქრონი. ხოლო დაკვირვების დღეების დაახლოებით ⅓-ში ერთმა ტელევიზიამ მაინც გააშუქა აღნიშულ რეგიონებთან დაკავშრებული თემატიკა. სულ შერჩევისათვის რელევანტური

მასალების რაოდენობა არ აღემატებოდა 87-ს და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მოკლე კადრ-სინქრონი იყო.

თემატურად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონთან დაკავშირებული საკითხები ყველაზე ხშირად ხვდებოდა ოკუპაციის, ომისა თუ კონფლიქტის კონტექსტში. ამას მოსდევდა საქართველოს უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობისა და არაღიარების პოლიტიკა და ისტორიასთან, კულტურასთან ან რელიგიასთან დაკავშირებული მასალები. უშუალოდ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე შიდა ამბები კი იშვიათად ხვდებოდა ქართული ტელევიზიების პრაიმტაიმში გასულ საინფორმაციო გამოშვებებში, თუკი აღნიშნულ თემებს პირდაპირი კავშირი არ ჰქონდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებსა თუ ოკუპაციის საკითხთან. გარდა ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთის რეგიონთან დაკავშირებული თემები განსაკუთრებით ხშირად არის ნეგატიურ თემატურ კონტექსტში მომზადებული და, იშვიათი გამონაკლისების გარდა, თითქმის არ ჩანან უშუალოდ აფხაზები და სამხრეთ ოსეთის რეგიონის მცხოვრებნი. ამასთან, მედიის მიერ მომზადებული მასალები, როგორც წესი, არ აკეთებს აქცენტს სამშვიდობო პოლიტიკაზე.

გარდა კვლევის ძირითადი შედეგებისა, მონიტორინგის მიზანი იყო ასევე მოეხდინა ტელემედიების მიერ აღნიშნული რეგიონების გაშუქებისას არსებული ძირითადი ტენდენციების თვისებრივი იდენტიფიცირება, რომელთა შორისაც შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

- წამყვანი ქართული ტელევიზიებისათვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონები არაპრიორიტეტულ თემებს მიეკუთვნება, განსაკუთრებით თუკი აღნიშნული თემები საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან ან ოკუპაციის საკითხთან არ იკვეთება;
- არსებული მწირი გაშუქების პირობებში, განსაკუთრებით თვალშისაცემია ნეგატიური კონტექსტის მქონე თემებზე მედია მასალების სიჭარბე;
- მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონთან დაკავშირებული თემები ხშირად ზედაპირულად და ფრაგმენტულად შუქდება და იშვიათად გვხვდება პროაქტიულად მომზადებული სიღრმისეული სიუჟეტები;
- ჟურნალისტების ენა უმეტესწილად ნეიტრალურია, თუმცა მაინც გვხვდება დისკრიმინაციული და მტრული ენის გამოყენების ერთეული შემთხვევები. ხშირად ეს ენა მიემართებათ რუსებს და არა აფხაზებსა და ოსებს, ხოლო ნეგატიური გამოხატვის წყაროები კი რესპონდენტები არიან და არა ჟურნალისტები;
- საქართველოში არსებული შიდა პოლიტიკური პოლარიზაცია ნეგატიურად აისახება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებთან დაკავშირებული თემების ტელემედიაში გაშუქებაზე, ვინაიდან შეზღუდული სივრცე რჩევა შიდა პოლიტიკური დაპირისპირების გარდა სხვა თემების გაშუქებისათვის;
- ტელემედიების მიერ მომზადებულ მასალებში მშვიდობის პოლიტიკა უმეტესწილად უგულებელყოფილი იყო ანდა პოლიტიკური პოლარიზაციის გავლენით, მშვიდობის თემის ინსტრუმენტალიზება ხდებოდა;

- თვალში საცემია აფხაზეთთან დაკავშირებით რომანტიკული დისკურსი მედიების მიერ მომზადებულ სიუჟეტებში, რაც არასწორ წარმოდგენებს ქმნის მაყურებლებში აფხაზეთთან დაკავშირებული ისტორიული რეალობის და სოციო-პოლიტიკური წარსულის შესახებ.

წინამდებარე კვლევა ასევე აკვირდებოდა 1992-93 წლების აფხაზეთის ომთან და 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებული მგრძნობიარე თარიღებში იმავე ტელევიზიების მთავარი საინფორმაციო გამოშვებების მუშაობას. როგორც კვლევამ აჩვენა, აფხაზეთის ომთან დაკავშირებით მედიაში შედარებით ნაკლებად ხდება ომთან დაკავშირებული ფაქტების, ქრონოლოგიისა თუ ომის შედეგების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება. თუმცა, ცალკეული ტელევიზიების მხრიდან ადგილი ჰქონდა აფხაზეთის ომის დასრულების თარიღის გამოყენებას შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებაში გადატანის მცდელობას. გარდა ამისა, ტელევიზიების მიერ აღნიშნული თარიღების გაშუქება არსებითად არაფერს ახალს არ სთავაზობდა მაყურებელს ომის დასრულებიდან 32 წლის შემდეგაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ კონფლიქტების მგრძნობიარე გაშუქების თუ მშვიდობის ჟურნალისტიკის პრინციპების პრაქტიკაში გატარებაზე.

2008 წლის ომთან დაკავშირებით კი, ქართული ტელემედია ცალსახად პოლარიზებული იყო, რაც გამოიხატა ომის დაწყების სხვადასხვა დღეს აღნიშვნაში. მართლია სხვადასხვა დღეს, თუმცა ტელემედიებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ომის ქრონოლოგიას და კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ადამიანებს. თუმცა ამ თემებზეც კი პოლიტიკური პოლარიზაციის პრიზმაში მოხდა მაყურებლისთვის ინფორმაციის მიწოდება. ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილმა ტელევიზიებმა, გარდა იმისა რომ აქცენტირება გააკეთეს "ქართული ოცნების" მთავრობის პრო-რუსულ პოლიტიკაზე და მას ბრალი მოღალატეობაში დასდეს, კონფლიქტის ზონის პრობლემები ძირითადად ხელისუფლებისადმი უკმაყოფილების ჭრილში გააშუქეს. ხელისუფლებისადმი ლოიალურმა მედიასაშუალებებმა კი სრული იგნორირება გაუკეთეს ადგილობრივი მოსახლეობის ხელისუფლების მუშაობით უკმაყოფილებასა და მათთან კომუნიკაციის დეფიციტს. საპასუხოდ, ხელისუფლებისადმი ლოიალური მედიებიდან ზოგიერთი ომში დაზარალებული მოსახლეობის მიერ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მთავრობის ომის დაწყებაში ბრალეულობის ჩვენებას შეეცადა.

კვლევის შედეგებისა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონთან დაკავშირებული თემების გაშუქებისას წამყვანი ტელემედიებში გამოკვეთილი ტენდენციებისა და კონფლიქტების მგრძნობიარე გაშუქების პრინციპების გათვალისწინებით, რეკომენდირებულია, რომ ტელევიზიებმა:

- მეტი ადამიანური და მატერიალური რესურსი მიმართონ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონთან დაკავშირებული თემების პრაიმტაიმში სიღრმისეულად და პროაქტიულად გაშუქებაზე;

- მეტი ძალისხმევა მიმართონ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში მიმდინარე ადგილობრივი მოვლენების გასაშუქებლად, რათა საქართველოს მოქალაქეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, იყვნენ ინფორმირებულები აღნიშნულ რეგიონებში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ მოვლენებზე; აღნიშნული რეკომენდაციის გასაზიარებლად, ტელეკომპანიებს შეუძლიათ იხილონ ზოგიერთი ქართული ონლაინ მედიის, მათ შორის ნეტგაზეთის, OC Media-ს, JAMnews-ის, რადიო თავისუფლებისა და Эхо Кавказа-ს პრაქტიკა;
- თავიდან აირიდონ სიძულვილისა და დისკრიმინაციის ხელშემწყობი ენის როგორც პირდაპირი, ისე ირიბი (რესპონდენტების მეშვეობით) გამოყენება;
- მეტი ყურადღება დაუთმონ რესპონდენტთა მრავალფეროვნებას, რისთვისაც შესაძლებელია, რომ ქართულმა ტელევიზიებმა გამოიყენონ მეტი მეორადი წყარო უშუალოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონში მომუშავე მედიიდან და პირველადი წყარო კონფლიქტის რეგიონებზე მომუშავე მკვლევრებისა და ექსპერტების სახით;
- გააცნობიერონ მედია პოლარიზაციის პირობებში ქვეყნის საერთო ინტერესების დაზიანების შესაძლო საფრთხე და თავიდან აირიდონ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებთან დაკავშირებული საკითხების შიდაპოლიტიკური დაძაბულობის ინსტრუმენტად ქცევა;
- მეტი ყურადღება დაუთმონ მშვიდობის პოლიტიკისა და ერთი მხრივ ქართველებსა და მეორე მხრივ აფხაზებსა და ოსებს შორის სახალხო დიპლომატიის შესაძლებლობის გაჩენას, მშვიდობიანი თანაცხოვრების გზების ძიებასა და საერთო ინტერესებისა და ენის გამონახვის შესაძლებლობებს;
- კონფლიქტების მგრძნობიარე (ომების დაწყებისა და დასრულების) თარიღების გაშუქებისას მაყურებლებს შესთავაზონ არა მხოლოდ ოფიციალური პირებისა და ომის გამოცდილების მქონე ადამიანების პირადი ისტორიები, არამედ ასევე კონფლიქტების მიზეზების შესწავლის, მათი სიღრმისეული ანალიზისა და კონფლიქტების მოგვარებაზე, მშვიდობის მიღწევასა და შერიგებაზე ორიენტირებული მასალები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Andresen, K., Hoxha, A., & Godole, J. (2017). New Roles for Media in the Western Balkans: A study of transitional journalism. Journalism Studies, 18(5), 614–628. https://doi-org.egms.idm.oclc.org/10.1080/1461670X.2016.1268928
2. Bell, M. (2002). The journalism of attachment. In Media ethics (pp. 15-22). Routledge.
3. Galtung, J., (2002), Peace Journalism – A Challenge, in Journalismand the New World Order, Kempf & Luostarinen (eds.), Nordicom, Vol 2
4. Howard, R.(2009), Conflict-sensitive reporting: state of the art; a course for journalists and journalism educators, UNESCO, https://www.unesco.org/en/articles/conflict-sensitive-reporting-state-art
5. Institute for War & Peace Reporting (IWPR). (2004). Reporting for Change: A Handbook for Local Journalists in Crisis Areas. https://iwpr.net/global-voices/print-publications/reporting-change-handbook-local-journalists-crisis-areas
6. Thompson, A. (Ed.). (2007). The media and the Rwanda genocide. IDRC
7. TV MR GE, TV Ratings 2023, http://www.tvmr.ge/#!en/news/73
8. გოგოლაძე, თ., (2022). კონფლიქტების გაშუქების მონიტორინგი აზერბაიჯანულენოვან, სომხურენოვან რეგიონულ და სხვა მედიებში. მედიის განვითარების ფონდი
9. ზარგინავა, ლ., (2022). კონფლიქტების გაშუქება და მედიის როლი. Humanities in Information Society, 4.
10. მურუსიძე, ქ., (2020). მასმედია კონფლიქტით გაყოფილ საზოგადოებებში. (მის)კომუნიკაცია კონფლიქტით გაყოფილ სა- ზოგადოებებს შორის. (ავტ) მურუსიძე, ქ., ბურსულაია, გ., კობახიძე, ო., ჭანკვეტაძე, ნ. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისი,
11. პანი. პ., (2017). კონფლიქტური სიტუაციების გაშუქების საფუძვლები. ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის
12. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია (2023)
13. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, (2022), ორმხრივი გამოტოვების ადგილები. https://socialjustice.org.ge/ka/products/ormkhrivi-gamotovebis-adgilebi-uflebrivi-da-sotsialuri-gamotsvevebi-galsa-da-akhalgorshi
14. გენდერულად მგრძნობიარე გაშუქება კონფლიქტებისა და ომის დროს. https://www.qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/95887
15. ხუციძე, ნ., (2012). კონფლიქტების გაშუქება ქართულ მედიაში. მედიის განვითარების ფონდი. https://www.mdfgeorgia.ge/geo/view_research/95